



ქვეყნული
კვირითაჲ

წელიწადი

ყოველკვირეული გაზეთი

მეოთხეტი

№ 23

კვირა, 7 ივლისი 1903 წ.

№ 23

გაზეთის ფასი: ერთი წლით ტფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მან. და 50 კაპ.; ტფილისს გარეთ: ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, საპოლარის ქუჩაზე, № 35.

ბელაფონი № 734.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газеты „КВАЛИ“.

ზინაარსი: შინაური მიმოხილვა.—მცირე მგანმარტება.—თავრობის განცხადება.—სხვა-და-სხვა ამბები.—კორესპონდენციები.—რუსეთის ცხოვრება.—საზღვარ-გარეთ.—* * * ლექსი, კ. გოვოლადისა.—ძიძა, მოთხრობა ნ. ნაკაშიძისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—წერილი რედაქციის მიმართ კ. ნოდიასი და განცხადებანი.

შინაური მიმოხილვა.

ყველაფერს ეშველება, ყველაფერი მოეწყობა, ასეთ იმედს იძლევა თანამედროვე ცხოვრება, მაგრამ როდის ეშველება ნოქრებისა და საზოგადოთ სავაჭროების მოსამსახურეთ, ეს კი არ ვიცით. დიდი ხანია ყველა ქალაქებში ცდილობენ ამ ცხოვრების უკანონო შეიღებათ მიჩნეული ხალხის სამუშაო დროს შემცირებაზე, მაგრამ ვერაფერმა ძლია ადების გაუმადრობა და ასე გასინჯეთ კვირა-უქმეც კი ვერ უზრუნველ ყვეს მათი დასვენება, არა თუ საზოგადოთ შეაჯირონ სავაჭროებში სამუშაო დრო. არც ადები იწუხებენ ამ კითხვით თავს და კანონსაც მივიწყებული ყავს ისინი. თვით კვირა-უქმეების დაცვაშიაც ხელს უშლის მათ კანონი, რომელიც ისეა განმარტებული, რომ ქალაქის მმართველობათ უფლება არა აქვთ მთელი დღით ვაჭრობა აკრძალონო, ამის დასაცველათ მოლიბერალო ქალაქები ანუ უკეთ ვთქვათ „მამები“ იმ გზას დაადგენ, რომ ვითომ არც მწვადი დაწვეს და არც შამფური და თითო-ოროლა საათს აძლევენ ვაჭრობის ნებას, მაგრამ ეშმაკობით ადებს ვინ აჯობებს? დასვენების ნაცვლათ ისინი დარაბებ დახურულ ღუქებში ამწყვდევენ ნოქრებს და ექვსი დღის 16—17 საათის ნამუშევარ ხალხს კვირაობით კარცერს ახდევინებენ. არის კიდევ მეორე გზა, რომლითაც რიგიანათ სარგებლობენ ადები. სახელდობრ, ვისაც ბაზრის მახლობლათ ან თუ გინდ ბაზარში აქვს სავაჭრო, მაღაზიის დარაბებს კი ხურავს, მაგრამ მთელი საქონელი ქუჩაზე აქვს გამოტანილი და ნოქრებიც ამას დატრიალებენ მთელი დღე. ამ რიგათ აქაც მეტი შრომა აწვებათ ნოქრებს, რადგან გარდა გაათკეცებული ყურადღებისა, რომელიც აუცილებელია ასეთ ვაჭრობაში, მათი მოვალეობაა საქონლის გამოტანა-შეტანაც.

აი ასეთია საზოგადო მდგომარეობა და მით უფრო სიამოვნებით აღენიშნავთ ქ. ასხაბადში მიღებულ სავალდებულო დადგენილებას, რომელსაც ვტყობილობთ „Н. О.“ № 6440-დან. ამ დადგენილებით სავაჭროები ღია უნდა იქნენ ზაფხულობით დილის 7 საათიდან საღამოს 9 საათამდე, ზამთრობით კი 8-დან 9-მდე, ამასთან ზაფხულობით შუადღის 2-დან 4-მდე

მაღაზიები დაკეტილი უნდა იქნეს. ამ რიგათ სამუშაო დღე იქნება ზაფხულში თორმეტი საათი, ზამთარში კი ცამეტი.

ჩვენ ვთქვით სიამოვნებით აღენიშნავთ ამ გარემოებას—თქო და თანაც გვეცინება ნუ თუ ცამეტი საათის სამუშაო დღე სიამოვნებას უნდა გვერიდეს მეოცე საუკუნეში და პირიქით არ უნდა გვალელებდეს და არ გვაკვირებდეს?! რასაკვირველია, უფრო სამართლიანია უკანასკნელი. მაგრამ რას იზამ, როცა ჩვენი ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ ამისთანებითაც იძულებული ვართ ვისიამოვნოთ, ნამეტურ როცა ჩვენ კურთხეულ ქალაქს გადაავლებ თვალს და ყოველ ნაბიჯზე თექვსმეტი და ჩვიდმეტი საათის სამუშაო დღეს ხედავ. მერე იცით თვით ჩვენ ქალაქში რამდენი ადამიანია, რომელთაც არა თუ ცამეტი საათის, 16 საათიც კი სანატრელი აქვთ? ძებნა არ დაგვირდებათ, შინ მიიხედეთ, მცირეოდნათ ბურჟუოზაში ფეხ-შედგმული თუ ხართ და თვით ამ ნომრის ოთახში მომრთმეველი არის პირველი მათგანი, რომელთა რიცხვი არა ერთი და ორი ლევიონია. დიან ასეთია ჩვენი ცხოვრება და როგორც ხედავთ ერთს ის ახარებს, რაც მეორესთვის წარმოუდგენელი უბედურება იქნებოდა...

* * *

ბათუმსაც ახარებს ალბათ ახალი გამგეობის წევრის დამტკიცება, რომელიც იძულებული შეიქმნა შეესმინა ბათუმელთა ვედრება. სწორეთ რომ ძნელია მდგომარეობა ამომრჩევლისა, როცა პირველ ყოვლისა იმით უნდა იხელმძღვანელოს, სხვას მოეწონება თუ არა მისი კანდიდატი და არა იმით, გამოსადეგი იქნება თუ არა თანამდებობისთვის. რასაკვირველია ასეთ მდგომარეობაში იმითიც ბედნიერათ ჩათვლით თავს, რითაც სხვა უბედურზე უბედური შეიქნებოდა. ბათუმელების პირველი სურვილი ისევე ვოლსკის შერჩენა იყო და ამ მხრით არის სამწუხარო, რომ სხვა შეექნათ საძებნელი და მოსაპატიჟებელი. შეიძლება ბ. ვოლსკის ბევრი ისეთი ნაკლი ქონდა, შეიძლება სხვა დროს და სხვა პირობებში არც მწუხარება გამოგვეცხადებია მის გადადგომაზე. საზოგადოთ ჩვენმა მკითხველებმა კარგათ იციან, რომ თანამედროვე ქალაქის დებულება არც ისეთ ფართო წრეს იტევს, რომ რამე

სახიფათო იყოს იქიდან მოსალოდნელი და თუ იქაურ საქმის მეთაურთა საიმედობას ვერ დაენდობა კაცი, ვისღა უნდა დაენდოს?..

* *

თუ რამდენათ საიმედო არიან თანამედროვე ქალაქების მეთაურნი და ვის ინტერესს უფრო იცავენ, ეს ყოველ დღეს თვალ წინ გვიდგას და მაგალითების ძებნა არ გვჭირდება.

თვით ჩვენი თფილისი კი, რომელსაც თავი მოაქვს ინტელიგენტობით, ყოველ წამს და ყოველ ჟამს უყურადღებობას იჩენს შეუძლო ნაწილისადმი. მთელი ზაფხული ტურტლიანი წყლით უმასპინძლდება ქალაქი თავის მცხოვრებლებს და ეს რასაკვირველია ყველაზე უფრო საგრძნობელი იმათთვის არის, ვინც მარტო წყალითა და ჰურით და თავისი კეთილი გულით კმაყოფილდება. თვით მამებს კი, რასაკვირველია, არაფრათ შეაწუხებს, რადგან მათ არც ფილტრების გაჩენა გაუჭირდებათ და უკიდურესს შემთხვევაში ნაირ-ნაირ სასმელებითაც დაიკმაყოფილებენ წყურვილს. რაც იყო იყო, მაგრამ სავალალო ის არის, რომ არც მომავალში ფიქრობს ქალაქი წყლის დაწმენდას, რაშიაც გვარწმუნებს სასწავლებელთ გამგე-კომიტეტის წინდახედულობა: მომავალ წლის შკოლების ხარჯთ-აღრიცხვაში შეუტანიათ ყოველი შკოლისთვის თითო ფილტრის საყიდლათ თითო თუმანი. აშკარაა, არა აქვთ იმედი რომ გაისათ მაინც წმინდა წყალი გვექნეს. ბავშვებზე ზრუნვა, რასაკვირველია, კარგია და მადლობის მეტი არაფერი ეთქმის ამ კომიტეტს, მაგრამ მოზრდილებს რას გვეჩინის ქალაქი, რატომ უნდა ნაწილდებოდეს ტიფით ამოვლიტოს ხალხი? ნუ თუ ასე გავმრავლდით?..

* *

არც ქუთაისის ქალაქის მოურავი ზრუნავს მცხოვრებლებზე ანუ მხმარებლებზე; მას უფრო ყასბების მხარე უჭირავს და დიდი წინააღმდეგობა გამოაცხადა ხორცის ფასის ორი კაპეის დაკლებაზე. საბედნიეროთ საბჭო არ გაყვა თავის ბელადს და მიიღო გამგეობის ორი წევრის აზრი. ასეთ პატარა საქმეშიაც კი თავისებურობს ქუთაისი, აბა თუ იშვიათი არ არის ასეთი სიმტკიცე, როგორც წევრების, ისე თავისაც. მე კი იშვიათათ შემხვედრია თავის წინააღმდეგ წევრების სიარული და თქვენი არ ვიცი, მკითხველო. მაგრამ აქ ყველა მიმართულების, „направление“-ს ხალხია. ამავე მიმართულების ძალით უარყო ქუთაისის საბჭომ ხორცის დუქნების გაღება, რაც უპირველეს საჭიროებას შეადგენს ქალაქის მცხოვრებლებისათვის და ელექტრონს და ტელეფონს გამოეკიდა. ამითი იმის თქმა უნდათ, ჩვენც განათლებული ქალაქი გვაქვსო, სწორეთ ისე, როგორც იმერელი აზნაური სტუმრებისთვის ცხოვრობს.

* *

ამ მიმართულებამ შეაწუხა ბ. ზდანოვიჩი, რომელიც (არ გაგიკვირდეთ კი!) თავის პრინციპებს ისე მტკიცეთ ადგია, რომ არავისგან არ კადრულობს დახმარების და მორიგების ყიდვას. ასე ამბობს თვითონ და ჩვენც უნდა დავუჯეროთ. „Н. Об.“ № 6439-ში მოთავსებულია ამ მარგანეცის გმირის წერილი სათაურით „არტემიევის ზრდილობა“. გაზეთ „Новое Время“-ს ყოლია ერთი თანამშრომელი, რომელიც ბ. ზდანოვიჩის და მისი კლაკის წინააღმდეგ წერს და ზოგიერთჯერ არა სასიამოვნო სიტყვებსაც ხმარობს ზდანოვიჩის მიმართ. რასაკვირველია თავისთავათ „Нов. Врем.“-ში თანამშრომლობა საკმაოთ სამწუხარო რეპუტაციას უკეთებს კაცს და მისი დიდი ნდობა არავის ექნება, მაგრამ ზოგიერთჯერ «Новое Время»-ს კიარა „Черноморский Вѣстник“-საც შეუძლია სამართლიანი აზრი გამოსთქვას. ჩვენ ზიზღით ვუყუ-

რებთ ყველას, ვინც კი სადმე თვითმართველობის გაუქმებას ცდილობს, მათთან საერთო არა გვაქვს რა და არც ზდანოვიჩის წინააღმდეგ გვინდა მათი მოზარება, მაგრამ ვინაა თვით ბ. ზდანოვიჩის საქციელი გვინტერესებს. ვინაა მისი წერილი ბ. ზდანოვიჩის სხვათა შორის გვაცნობებს, რომ ერთ ერთ პეტერბურგელ ორგანოს თავის მიზნათ დაუდგენია მარგანეცის მრეწველთა კრებების დახურვა და ზდანოვიჩის საქმიდან გადაყენება. ამ მიზნით დაუმზადებიათ წერილები, მაგრამ სანამ მათ გამოაქვეყნებდნენ ბ. ზდანოვიჩის ალბათ კეთილის მყოფელს უცნობებია უკანასკნელისთვის—ასეა საქმე და თუ მოისურვებ წელიწადში ორას თუმანიანი სუბსიდიით (ჩვენებ უკრათ ქრთამით) შეგიძლია გააჩუმოვო. ბ. ზდანოვიჩის, როგორც თვითონ ამბობს, ეს არ უკადრებია და მას შემდეგ ჟურნალს გამოუცხადებია ომი... ეს მოყავს ბ. ზდანოვიჩის იმის დასასურათებლათ, თუ ვინ არიან მისი მოწინააღმდეგენი. ზევით კიდევ მეორე მაგალითი მოიყვანა ადგილობრივი ცხოვრებიდან, მაგრამ ამას არ ვიხსენიებთ, რადგან თვით ბრალდებული ჩვენში ტრიალებს და ვალდებულია ან აიცილოს ბ. ზდანოვიჩის ბრალდება ან თავი დაანებოს საზოგადო მოღვაწეობას, თუ კი ამ სახელს ეკადრება მის შესახებ ხმარება.

რამდენათ მართალია ბატონი ზდანოვიჩი, როცა ყველა თავის მოპირდაპირეთ ანგარებას ახვევს თავზე, ეს ყველამ კარგათ იცის, და არც ამაზე ვიტყვი რასმე, რადგან ეს მისი ჩვეულებრივი ხრიკია. მაგრამ თუ კი მას მართლა დარჩენია რამე ძველი პრინციპების ან იმ ასპარეზის პატივისცემისა, რომელსაც ასე თუ ისე ემსახურებოდა ერთ დროს, როგორ მოითმინა ამდენხანს და მხოლოდ არტემიევის საპასუხო წერილის დროს გაახსენდა და მაშინაც კი არ მოიხსენია იმ ორგანოს სახელი, რომელიც ფულზე ახურდავებს თავის აზრებს და საქმის ინტერესს. ვთქვათ, თვითონ ზდანოვიჩი გულკეთილი კაცია და მტერთათვისაც ითხოვს „მეუნდეთ, არ იციან რას იქმანო“, ვიმეორებთ ამ პრინციპისაც რომ იყოს, მაშინაც არ ქონდა და არა აქვს უფლება ასეთი საქციელი დამალოს, ხელი დაფაროს, რადგან ამაზე შორს მწერლობის დაცემა და გარყვნილება ვერ წავა და ვისაც შეუძლია, მოვალეა გამოაშკარავოს ყოველი ასეთი საქციელი და ნიღაბი ახადოს გათახსირებულ რედაქციას. ამას მოითხოვს საზოგადო ინტერესი, რომელიც სამწუხაროთ ხელსახოკათ გახდომიანთ ზდანოვიჩისთანა მოღვაწეებს. ყოველი რიგიანი მოღვაწე მიღებისათანავე გამოაქვეყნებდა მოხსენებულ წერილს, ბ. ზდანოვიჩი კი ასე არ მოიქცა. რატომ? ალბათ იმიტომ, რომ თუ ფულით არა სიჩუმით უნდოდა მორიგების ყიდვა.

რაც შეეხება ბ. ზდანოვიჩის ზრდილობაზე მსჯელობას, ეს კი ღმერთსაც გაცინებს მას შემდეგ, რაც ყოფაქცევა მან გამოიჩინა უკანასკნელ კრებებზე...

სასაცილოა „გულუბრყვილო“ „ცნობის ფურცლის“ სიხარული და აღტაცება ბ. ზდანოვიჩის ხსენებული წერილით. ისიც აღნიშნავს რომ ზდანოვიჩის მოპირდაპირენი ასეთი ანგარებით არიან ამოძრავებულიო. სატახტო ქალაქის გაზეთების არ ვიცი და ადგილობრივთა შესახებ კი სულ სხვა გამოიჩინა, თუ შრომას მიიღებენ და მოიგონებენ. დიახ, გამოიჩინა, რომ ანგარებით უფრო მომხრენი ხელმძღვანელობდნენ, მაგრამ... კმარა ბ. ზდანოვიჩზე და მის ლეიბ ორგანოზე...

* *

„სოფლის მრავალ გაქირვებათა შორის საპატიო და საგრძნობელი ადგილი უჭირავს სოფლის მკვიდრთა მათ მაერვე ამორჩეულ მოხელეთაგან შეწუხებას. ამის ერთი ტიპური მაგალითი მოყავს „ცნობის ფურცლის“ № 2180-ში ბ. პეტრე ხუციშვილს:

„მამასახლის-მწერლების ამბავს ნულარ მკითხავთ; იმათი საქმე ლანძღვა-გინებაა, ხანდისხან (თუ მოწამე არ იქნება) კარგი მაგარი სილა-პანდური და ნაობახტი. ვინც უნდა მოვიდეს მთხოვნელი, თუ იციან, რომ იმისგან ვერაფერს მიიღებენ და თუ კიდევ გაუჭირვეულდა (გაჭირვეულობა იმასა ჰქვია, თუ დაჟინებით შენის საქმის გაკეთებას, დაბოლოვებას სთხოვ) უეცრათ და გაულანძღავათ არ გაუშვებენ. ასეთი სენი სჩემდა უმეტესათ მამასახლისის (და სხვათაც, რასაკვირველია) უფრო მაშინ, როცა მოძველდება და სზოგადოების ფულის გემოს გაიგებს ხოლმე. თორემ პირველი ამორჩევის დროს სულ სხვაა. ამორჩევამდე ზოგი, თუ შეუძლიან, ქრთამებსაც კი ხარჯავს, იხვეწება, ოღონდ დამაყენეთ და თქვენს სატკივარს მე წამალს დავადებ, სინდისიერათ დავიცავ თქვენს ინტერესებს, არ დავზოგავ თავსაო. ამორჩევის შემდეგ პირველ ხანს თაფლი და შაქარი ამოდის პირიდან, თავს გვევლება, თვალეში გიცქერის, რას მიბრძანებ, რა საქმისთვის მოსულხარო და მზათაა ყოველივე თქვენი თხოვნა დაუყოვნებლავ შეასრულოს. ნახევარის წლის შემდეგ კი ტყუილათ ნულარ მიეკარები! მიხვალ, ძალიან ფრთხილათ უნდა მოიქცე, რომ არ გააჯავრო. ხონთქარიც კი არ გაჯავრდება ასე: ჯერ ლანძღვა-გინებას დაგიწყებს, მოგიახლოვდება და თითქმის თითს გკრავს თვალში, მუშტს დაგიღერებს და გეტყვის: „მე ხომ იცი, ვინც ვარ, კარგად გაიგე, მამა ვარ სახლისო!... ამ მინუტში ვუბრძანებ ნაობახტში შეგადგონა“!

უნდა ნახოთ მამასახლისი მაშინ, როცა გაჯავრებულია და ბრძანებას აძლევს თავის ხელქვეით გზირებს: „აბა ჰკათ მაგას პანდური და შეადგეთ მაგ ნაობახში“. რა ჰკაცრი, სასტიკის სახის გამომეტყველებას მიიღებს ხოლმე, როგორ წამოიფოფრება ინდოურივით, თითქო ჩინგის-ხან-მტარვალის როლს თამაშობდეს თეატრში. ერთს შეხედვარე გინდა წაგცდეს სიცილი, იცინო და იცინო შეუკავებლათ, რომ იმ წუთშივე მწუხარება არ გიშხამავდეს სიამოვნებას, ჯავრი არ გაწვებოდეს გულზე, არ გეკუმშებოდეს ყოველი ნაწილი სხეულისა. ხშირათ ნაცემი და გალახული უმაღლეს მთავრობას მიმართავს საჩივრით, მაგრამ, მგონი, არც იმას გაუდის რამ პატარა სოფლის მოხელესთან, თითქო ვილაც უძლეველი მღვვი იყოსო, გაიხედავ და არიან მაინც თავიანთ ადგილზე და თავიანთ ადრინდელ რაინდობას კვლავ იმეორებენ მეტის სიმამაცით.

და ასე, იმათი მომათვინიერებელი და კამადაშიანებელი არავინ არ გამოჩნდა, ხოლო საზოგადოება ძლიერ დატანჯულია და გაბრაზებული. როდემდის დარჩება ასე—აღლიაჰმა უწყის».

მანამდის სანამ თვით ხალხი არ შეიგნებს თავის უფლებას და არ მოითხოვს პირადობის უზრუნველყოფას, შეგვიძლია ვუპასუხოთ ჩვენ...

მცირე განმარტება

„ცნობის ფურცელს“ „კვალის“ № 22-ში ერთი დიდი წინააღმდეგობა აღმოუჩინია. სამშაბათის ნომრის პრესაში მოყვანილია „კვალის“ საზღვარ-გარეთიდან ის ადგილი, სადაც ნათქვამი გვქონდა, რომ ოპორტუნისში ორკოფი, ორაზროვანი პოლიტიკა და უნაყოფოთ ცდილობს შეურიგებელის შერიგებას, შეუთანხმებელის შეთანხმებას, ე. ი. ბურჟუაზიულ ფრაქციათა და სოციალ-დემოკრატიულ პარტიის საერთო საიოკმედო ასპარეზის შექმნას. ასეთი ასპარეზი არ არსებობს, და მაშასადამე მისი არც შექმნა შეიძლებათქო. ამ სიტყვებში ის აზრია გამოთქმული, რომ მშრომელთა კლას-

სობრივი ინტერესები დიამეტრალურათ ეწინააღმდეგებიან ბურჟუაზიის ყველა ფრაქციათა ინტერესებს; რომ მათი გაერთიანება საერთო ნიადაგზე, ე. ი. საერთო სამოქმედო პლანით ხელმძღვანელობა, ყოველად შეუძლებელია.

ამ აზრის დასამტკიცებლათ შეიძლება დაბევრი მაგალითი დაგვესახელებინა ვეროპის ცხოვრებიდან, მარა ჩვენ დავკმაყოფილდებით ამ შემთხვევაში ორი მაგალითით გერმანიის კანასკნელ დროის ისტორიიდან. ჯერ კიდევ ყველას ახსოვს ის გატხარებული კამათი, რომელიც გამოიწვია გერმანიის რეისტაგში ბაჟების საკითხმა, ყველას ახსოვს ის თავგანწირული, დაუღალავი ბრძოლა, რომელიც გაუწია სოციალ-დემოკრატიამ აგრარების პარტიას. აგრარებს თავის ჯიბის გასასქელებლათ, მაშასადამე ვიწრო კლასიურ ინტერესების დასაცველათ, სურდათ პურზე ბაჟების დადება, რაც მძიმე ტვირთათ დააწვებოდა ხალხის ჯიბეს, რომელიც უმთავრესათ მარტო პურით საზრდობს. მერე ვინ გამოვიდა ამ შემთხვევაში ხალხის ინტერესების დამცველი, რომელი პარტია წინააღმდეგა ხალხის გაყვლეფის მსურველთ? ეს იკისრა მარტო-მარტო სოციალ-დემოკრატიამ, ხოლო ყველა სხვა ბურჟუაზიულ ფრაქციები კონსერვატორებიდან დაწყებული პროგრესისტთა პარტიამდე, ყველანი შეუერთდნენ აგრარებს, შეუერთდნენ, რადგან იგრძნეს უფრო ერთობა ინტერესებისა მათსავით მყვლეფელ კლასთან, ვინემ გაყვლეფილთა კლასთან. ამ შემთხვევაში იმდენათ აშკარა შეიქნა მემარცხენეთა და ყველა სხვა პარტიათა სრული დიამეტრალური წინააღმდეგობა, რომ ამას ვერც „ცნობის ფურცელი“ და ვერც მისი ნაცნობები ვერ უარყოფენ, ასე რომ მათი რჩევის შემდეგაც უნდა დაგვეთანხმოს ამ აზრზე. მეორე მაგალითი კიდევ უფრო აშკარაა. წრევანდელ არჩევნებზე სოციალ-დემოკრატების გამარჯვებამ ისეთი თავ-ზარი დასცა ყველა ბურჟუაზიულ ფრაქციებს, რომ წარმოათქმევინა ასეთი მნიშვნელოვანი სიტყვები: შეერთდით ყველა პარტიებო, მიეცით ხმა თუნდ თავისუფალ მოაზრეთ, ოღონდ სოციალ-დემოკრატებისაგან დაგვისხენითო. ამ სიტყვებში ნათლათ ნათქვამია: ყველა სხვა პარტიები ჩვენი თანამოძმენი არიან, ყველასთან მორიგება შეიძლება, სოციალ-დემოკრატებთან კი არაო... ამით მათ აღიარეს, რომ ბურჟუაზიულ ფრაქციათა და სოციალ-დემოკრატების შორის სრული ანტაგონისში, პრინციპიალური წინააღმდეგობაა და მათი შეერთება შეუძლებელიაო, ე. ი. თქვეს ის, რაც საზღვარ-გარეთში გვქონდა ნათქვამი. მაგრამ „ცნ. ფურცელს“ მიინც გონია, რომ საერთო ასპარეზი არსებობს, რომ ყველაფრის შეერთება შეიძლება, როგორც ეს სხევიათ ოპორტუნისტებს. დაე ეგონოს! მაგრამ საქმე ამით არ თავდება. მას წარმოუდგენია, რომ ის მარტო არ ფიქრობს ასე, რომ „კვალის“ ასეთსავე აზრებს ათავსებს თავის ფურცლებზე მოწინავე წერილშიაც კი, მხოლოდ არ უნდა ამაში აშკარათ გამოტყდეს და თავის თავის წინააღმდეგობაში ვარდებაო.

ასეთი აზრის დასასაბუთებლათ მოყვანილია იმავე ნომრის მეთაური წერილიდან შემდეგი ადგილი: „დღეს ამ კლასის (მუშების) ინტერესი (ჩვენში), როგორც ერთ დროს საფრანგეთის ბურჟუაზიის ინტერესები, ეთანხმება საზოგადო ინტერესებს, ეთანხმება მაგალითათ თავისუფალ პროფესიის წარმომადგენელთ, წვრილ, საშვალო და მსხვილ ბურჟუაზიის ინტერესებს, რამდენათაც ეს უკანასკნელები ეწინააღმდეგებიან ფეოდალურ წყობილების ნაშთებს“. აქედან ის დასკვნა გამოყავს გახეთს, რომ მაშ შესაძლებელი ყოფილა საერთო სამოქმედო ასპარეზის მოძებნაო, მაშ ასეთი ასპარეზი არსებულაო. ვნახოთ რამდენათ მართალია ასეთი დასკვნა.

„ცნობის ფურცლის“ აზროვნობის პროცესი ამ შემთხვევაში ასეთი: რა კი მათ საერთო ინტერესი ჰქონათ, ცხადია, საერთო სამოქმედო ასპარეზიც ყოფილა, სადაც მათი შეერთებულ შეთანხმებულ მოქმედება შეიძლებოდა. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ევროპის ცხოვრებაში ასეთი შეერთება შესაძლებელი არ ყოფილა. და რომ ამას ყველა პარტიები კარგაზრდად გრძობდნენ. მაგრამ იქნება; „ცნობ. ფურ.“ მებრესემ გვითხრას, რომ ჩვენში ამ შემთხვევაში არსებობს ისეთი განსაკუთრებული პირობები, რომელნიც შესაძლებელათ ხდიან ასეთ გაერთიანებას და გვაძლევენ საერთო სამოქმედო ნიადაგს. ევროპაში დიდი ხანია რაც ბოლო მოეღო და გაქრა უკანასკნელი ნაშთები ფეოდალურ ცხოვრების, როგორც ეკონომიურ ისე პოლიტიკურ სფეროში. ჩვენში კი ასეთი ნაშთები ჯერ კიდევ არსებობენ და საკმაოდ ძლიერიც არიან. და აი ამ ნაშთებთან ბრძოლაში ერთნაირათ დაინტერესებულია ყველა მოწინავე ჯგუფები მიუხედავად კლასობრივი ინტერესების განსხვავებისა. და ეს ბრძოლა ფეოდალურ წყობილების ნაშთთა წინააღმდეგ ქმნის იმ ნიადაგს, რომელზედაც შესაძლებელი ხდება ყველა ჯგუფების და კლასების შეერთება, ამ ნაირათ ჩნდება „საერთო სამოქმედო ასპარეზი“. მაგრამ რას ნიშნავს საერთო ასპარეზის შექმნა? ეს ნიშნავს საერთო პროგრამის შემუშავებას თავის მოქმედებაში სახელმძღვანელოთ, ეს ნიშნავს ერთ გზაზე, ერთი მიზნით და ერთი აზრით სიარულს. სადაც ასეთი ერთობა არ არსებობს, იქ არც საერთო სამოქმედო ასპარეზზე შეიძლება ლაპარაკი. ამიტომ, რომ დავრწმუნდეთ, მართლა არსებობს ან შეიძლება არსებობდეს თუ არა მათ შორის საერთო სამოქმედო ასპარეზი თუნდაც ამ შემთხვევაში ე. ი. ფეოდალურ წესწყობილებასთან ბრძოლაში, უნდა გავიგოთ, რა მიზნით ცდილობს თვითეული ოპოზიციონურ ჯგუფთაგანი ფეოდალურ წყობილების ნაშთთა დანგრევას. საფრანგეთის ცხოვრებაში ჩვენ გვაქვს მაგალითი, როგორ იბრძოდა ბურჟუაზია ფეოდალთა წინააღმდეგ. მას თავის იდეალათ ქონდა გამოტანილი სრული თავისუფლება, ძმობა, ერთობა ე. ი. ის, რაც მიუცილებელი მოთხოვნები იყო ხალხის, ერის წინმსვლელობისთვის. ამიტომ იგი შეიქნა მთელი ერის ძარღვის ცემის გამომხატველი, მათი სულის ჩამდგმელი. მისი ინტერესები წარმოადგენდა მთელი ერის ინტერესებს, და ბურჟუაზიამ კიდევ გაიმარჯვა, — დაამსხვრია მონობის ჯაჭვი. გამოაცხადა სრული თავისუფლება, პიროვნებისა მარა, გამარჯვების შემდეგ სულ სხვა კილოზე მორთო სიმღერა. ის ეხლა თვითონ შეიქნა გაბატონებული კლასი და ხალხის ინტერესების მაგიერ თავის ვიწრო კლასობრივი ინტერესების სამსახური დაიდვა მიზნათ. ამიერიდან მას ჩამოეფხვია პროგრესიული მისწრაფებანი, მან გაათავისუფლა გლეხი, რომ თვითონ უკეთ ესარგებლნა თავისუფალი მუშის თავისუფალი შრომით. ჩვენ ბურჟუაზიას, როგორც არა ერთხელ გვქონდა ნაჩვენები, მხოლოდ მეორე როლი ხვდა წილათ. თუ მას ჩვენშიც სასურველათ მიაჩნია ფეოდალური წყობილების დანგრევა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ძველი ბატონის ადგილზე თვითონ წამოიჭიმოს, რომ ქვეყნის მართვა გამგებობის სადავე ფეოდალების მაგიერ მათ ხელში გადავიდეს.

მათი სურვილი, ცხადია, სრულიად წინააღმდეგება მშრომელთა ინტერესებს, ის მხოლოდ ერთ მკეპა მდიდართა სასარგებლოა. მაშასადამე ბურჟუაზიას ფეოდალთა წინააღმდეგ, ამოქმედებს ვიწრო კლასობრივი ინტერესი, ინტერესი თავის გაბატონებისა. სულ სხვა მიზანი აქვს მშრომელთა მოქმედებას. თუ ისინი გამოდიან ფეოდალთა წინააღმდეგ, ეს იმიტომ რომ ფეოდალური წყობილება შემხუთველია პიროვნულ თავისუფლებისა, საზოგადოებრივ თვით-მოქმედებისა.

ის თვითნებობის და განუსაზღვრელ მონობის სამეფოა და ამით მეტის-მეტათ ხელის შემშლელია ხალხის შეგნებისა, განვითარებისა თვით-მოქმედებისათვის. სანამ ეს შენახვანი იქნება, მანამ მშრომელთა კლასობრივი ინტერესები სრულად უყურადღებოთ დარჩებიან, მისი დანგრევით კი მშრომელი კლასი მოაზოვებს თავისუფლებას, პიროვნულ დამოუკიდებლობას, რაც ასე საჭიროა მათი კლასობრივ თვით-შეგნებისათვის. ამიტომ მათი ინტერესი არის ინტერესი თავისუფლებისა, საზოგადოებრივ თვითმოქმედებისა, ე. ი. საზოგადო კულტურულ წინმსვლელობისა.

ამ ნაირათ პირველნი (ბურჟუაზია) იცავენ თავის კლასიურ ინტერესებს, რომელიც ამ შემთხვევაში სრულიად ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ ინტერესებს და სასარგებლოა მხოლოდ და მხოლოდ მათი კლასისათვის. მშრომელთა კლასი კი იცავს ისეთ ინტერესებს, რომელნიც მთელ კულტურულ წინმსვლელობისათვის საჭიროა, რადგან მტკიცეთ დარწმუნებულია, რომ მხოლოდ ამ გზით შეუძლია მას მიადწიოს თავის კლასიურ ინტერესების განხორციელებას — ეკონომიურ და პოლიტიკურ დამოკიდებულებისაგან მთლათ განთავისუფლებას. ამ ნაირათ მათ ორივეს სურს ერთი ხის მოჭრა, პირველს იმისთვის, რომ მისგან თბილი სახლი აიგოს, მეორეს იმიტომ, რომ კარგი ნავი შექმნას ცხოვრების მქუხარე ტალღებში უფრო თავისუფლათ გასაცურათ. თვითეული მათგანი იცავს თავის კლასობრივ ინტერესებს. თვითეულ მათგანს თავის განსაკუთრებული მიზანი აქვს, საკუთარი პროგრამით ხელმძღვანელობს. ასე რომ ხის მოჭრამდის, მოჭრის დროს და შემდეგაც ისინი დარჩებიან ისევ ანტაგონისტურ პარტიებათ, რომელთა ინტერესებ შორის დიამეტრალური წინააღმდეგობა არსებობს. ამასვე ამბობდა ბ. ყვირილელი, რომლის წერილიდან ისე უთავბოლოთ არის ამოგლეჯილი ერთი ადგილი, ვითომ და ასეთ აზრის წინააღმდეგი. ავტორს, როცა ამბავს მუშათა და ბურჟუაზიულ პარტიათა საზოგადო ინტერესებზე, თან დასძენს «რამდენათაც ეს უკანასკნელები ეწინააღმდეგებიან ფეოდალურ წყობილების ნაშთებს» ე. ი. მათთვის, როგორც ახალ კაპიტალისტურ წყობილების საზოგადოებრივ კლასთათვის, თანასწორათ სასურველია ძველი საზოგადოებრივ წყობილების დანგრევა. და აი ამ პროცესში ჰეგემონია უჭირავს მშრომელთა კლასს, როგორც ყველა სხვა კლასებზე უფრო შეგნებულ და მოძრავ ელემენტს. ამის გვერდით თავს იყრის და გროვდება, ამბავს იქვე ბ. ყვირილელი, ყველა მოწინავე ჯგუფები.» ეს სიტყვები რატომღაც გამოუტოვებია «ცნ. ფურც.» შენიშვნის ავტორს, თუმცა მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ... მაგრამ... მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს სიტყვები უარყოფენ სწორეთ იმას, რასაც «ცნობის ფურცელი» აწერს «კვალს». აქ გარკვევით სწერია, სხვა ჯგუფები მის გარშემო იყრიან თავს, და არ ერთდებოანო, ე. ი. ერთ სამოქმედო პროგრამით ხელმძღვანელობაზე სიტყვაც არაა დაძრული. აღნიშნულია მხოლოდ, რომ ყველანი ძველი წეს-წყობილების წინააღმდეგ მოქმედობენ, მარა არა როგორც გაერთიანებული პარტია, არამედ თვითეული მათგანი წარმოადგენს სრულიად განსაკუთრებულ, დამოუკიდებელ პარტიას. საერთო მოწინააღმდეგესთან ბრძოლა სრულიად არ აქრობს მათ შორის ინტერესთა წინააღმდეგობას და ამ წინააღმდეგობისაგან გამოწვეულ კლასიურ ბრძოლას. მაშ საიდან გამოიგონა «ცნ. ფურც.» რედაქციამ, ვითომ «კვალისა» საერთო ნიადაგის არსებობას აღიარებდეს. ან იქნებ ნაცო, ბების რჩევამ შეიყვანა ასეთ შეცდომაში? ვურჩევთ თუ ასეა აწი მაინც საკუთარი აზრით განსაჯოს და დაკვირვებით წამოსთქვას თავისი მსჯავრი, თუ არ უნდა ისევ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდეს...

მთავრობის განცხადება.

„მთავრობის განკარგულებათა და ბრძანებათა კრებულ“-ში გამოქვეყნებულია სახელმწიფო საბჭოს უმაღლესათ და-მტკიცებული აზრი ქ. პეტერბურგის თვით-მმართველობის შეცვლის შესახებ. ჩვენ აქ მართა იმ მუხლებს შინაარსს მოვიყვანთ, რომლებიც სულ ახლათ არის შემოღებული და რომელშიაც რამე ცვლილება შეტანილი.

ყველაზე მნიშვნელოვანია ის მუხლი, რომლის ძალითაც შინაგან საქმეთა მინისტრს უნდა თვლყური ექიროს, რომ თვით-მმართველობის მოქმედება წესიერი და კანონიერი იყოს. ამ აზრით შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსდება საგან-გებო განყოფილება ქ. პეტერბურგის საქმეებისა („*Особое присутствіе по дѣламъ Петербурга*“), რომელშიაც უნდა გაიჩნეს კითხვები თვით-მმართველობის განკარგულებათა და გადაწყვეტილებათა კანონიერების შესახებ. „პრისუტსტივე“-ს თავმჯდომარე ინიშნება უმაღლესი ნებართვით. „პრისუტსტივე“ შესდგება შემდეგის წევრებ-საგან: გრადონაჩალნიკისაგან, თავად-აზნაურთა საგუბერნიო წინამძღოლისაგან, სახაზინო პალატის მმართველისაგან, საოლქო სასამართლოს პროკურო-რისაგან, შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დანიშნულ მოხე-ლისაგან, საგუბერნიო ერობის გამგეობის თავმჯდომარისაგან, ქალაქის თავისაგან, ქალაქის გამგეობის თავმჯდომარისაგან და საბჭოს მიერ არჩეულ ერთ ხმოსნისაგან.

თუ თავმჯდომარე არ ეთანხმება „პრისუტსტივე“-ს წევრთა უმრავლესობის აზრს, იმას შეუძლია შეაჩეროს კრების გა-დაწყვეტილება და საქმე წარუდგინოს შინაგან საქმეთა მი-ნისტრს, რომელიც ან ნებას დართავს „პრისუტსტივე“-ს გარ-დაწყვეტილების შესრულებას, ან სენატს სთხოვს ამ გარდა-წყვეტილების გაუქმებას.

საბჭოს შეუძლია „პრისუტსტივეს“ გადაწყვეტილება სენატში გასაჩივროს.

ცვლილება შეტანილი აგრეთვე ამომრჩეველთა რიც-ხვშიაც. არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლევათ, გარდა სახლის პატრონებისა აგრეთვე მდგმურებსაც, რომლებიც იხდიან ბინის ქირას არა ნაკლებ 33 მან. ებრაელების შესახებ ასეა დადგენილი. კანონების ახლათ გარჩევამდის ებრაელებს ნება არ ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, ან რაიმე თანამდე-ბობა დაიჭირონ თვით-მმართველობაში. ქალებს ნება არა აქვთ თვითონ მიიღონ მონაწილეობა ქალაქის საქმეებში. მათ შეუ-ძლიათ თავის შვილებს გაგზავნონ. ქმრები, შვილები, მამები, სიძეები, შვილის-შვილები, ძმები ან ძმისწულბები.

„პრისუტსტივემ“ უნდა განიხილოს და შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცოს საბჭოს შემდეგი გადაწყვეტილებანი: 1) ქალაქის ქონების ყიდვა-გაყიდვის შესახებ; 2) ქალაქის სესხის და თავმდებობის შესახებ; 3) გამგეობისთვის და დამა-ტებითი ორგანოებისთვის დადგენილი წესები სასწავლებლე-ბის მართვა-გამგეობის შესახებ; 4) წესები, რომლითაც ხმო-სნები უნდა ირჩეოდნენ; 5) ქალაქის თავის მეორე თანაშემწის დანიშვნის შესახებ. თუ შინაგან საქმეთა მინისტრი არ და-ამტკიცებს საბჭოს განკარგულებას, განკარგულება უქმდება. შინაგან საქმეთა მინისტრს შეუძლიან დანიშნონ მოხელე და ქალაქის საქმეების რევიზია მოახდენიოს.

ქალაქის თავი ინიშნება უმაღლესის სურვილისამებრ ში-ნაგან საქმეთა მინისტრის წარდგენილებით. საბჭოს ნება ეძ-ლევა მხოლოდ თავის კანდიდატი აირჩიოს.

წინანდელი ბიუროკრატიული ელემენტი თვით-მართვე-ლობისა, რომელიც გრადონაჩალნიკის მონაწილეობაში გა-მოიხატებოდა, ხელშეუხებელი დარჩა.

ამნაირათ, ბიუროკრატიული ხასიათი პეტერბურგის თვით-მართველობისა გაძლიერებულია „პრისუტსტივეს“ დაარსე-ბით, შინაგან საქმეთა მინისტრის ენერგიულთ ჩარევით და ქალაქის თავის ამორჩევის გაუქმებით.

ამომრჩეველთა რიცხვი თუმცა გაძლიერებულია, მაგრამ მდბაღ წრეებს მაინც არავითარი მონაწილეობა არ ეძლევათ ქალაქის საქმეებში.

სხვა-და-სხვა ამბები

სამშაბათს, 2 ივლისს გ. ადელხანოვის ტყავის ქარხანა-ში დილის ცხრა საათზე, როცა ქარხნის მმართველის თანა-შემწე ბ. მ. მარკოზოვი მოვიდა ქარხანაში, მასთან შევიდა ერთი იმ ქარხანაში მომუშავეთაგანი და ორჯერ რევოლვე-რი ესროლა. ერთი ტყვია მოხვდა გულზე, მარა პი-ჯაკის ჯიბეში შენახულმა პორტიგარმა შეაჩერა ტყვია და ვნება არ მიუყენებია მარკოზოვისთვის. მეორე ტყვიამ მარცხე-ნა ხელის გულში გაუარა. მ. მარკოზოვმა თავის მხრივ ლე-ვორველი მოუღერა მუშას, მაგრამ ამ დროს შემოსულმა მმარ-თველმა ხელი აუკრა რევოლვერს და ტყვია აცდა მუშას და ფეხში დასჭრა მმართველი არუთინოვი. მუშა იქვე დაიჭირეს და პოლიციას გადასცეს. მარკოზოვის და არუთინოვის კრი-ლობები საშიში არაა.

„ტფ. ფურც.“ ასეთი წერილია დაბეჭდილი რედ. მიმართ: „გოროდოვოი“, რომელიც სდგა მოსკოვის და ოლგინის ქუჩის კუთხეში 2 ივლისს, დილის 7—8 საათზე სცემდა ერთ მეკურტნე მუშას და ამ საზიზღარ მოქმედებასთან ერთათ უშვერის სიტყვებით იხსენიებდა მას. მთელი ეს სცენა ნახა ჩემმა მეუღლემ, რომელმაც შენიშნა გოროდოვოის, რომ უკანასკნელს შეეწყვიტა მუშის ცემა, ხოლო თუ დამნაშავეთ ცნობდა, პოლიციის ნაწილში წაეყვანა. ამაზე გოროდოვოიმ მკვანთ უბასუხა: «რა თქვენი საქმეა — დამეკარგეთ აქედანაო!» (убирайтесь къ чорту!). იმედია ამ გოროდოვოის აუხსნიან, ერთი რომ ცემა, თუნდ მუშისა, აკრძალულია, მეორე ის, რომ გარეშე მაყურებელთაგანს უფლება აქვს შენიშნოს გო-როდოვოის, თუ ის კანონს გადააბიჯებს. ვ. ივანოვი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განუზრახავს ქალაქის თვით-მმართველობებს მინიჭოს მეტი უფლება იმ სავალდე-ბულო დადგენილებათა გამოცემის საქმეში, რომელიც ეხება კვირა-უქმეობით ვაჭრობის აკრძალვას. მკითხველებს ეცოდი-ნებათ, რომ დღეს თვით-მართველობას არ შეუძლიან სანო-ვავით მოვაჭრეებს ვაჭრობა აუკრძალოს ან სავაჭრო დრო შეუ-მციროს. სამინისტროს განუზრახავს ნება მიეცეს თვით-მმარ-თველობებს კვირა-უქმეობით შეზღუდონ ვაჭრობა სანოვავით მოვაჭრე დუქნებშიაც.

„კავ.“-ს დებეშით ატყობინებდენ, რომ „პეტ. ვედ.“ ვ-ველიჩკოს ხელში გადადისო. როგორც „ნოვ. ობოზ.“-ს გაუ-გია, ხსენებული გაზეთი ველიჩკოს კი არა, პოეტისა და „პრა-ვესტ.“-ს რედაქტორათ ნამყოფის კ. სლუჩევსკის ხელში გა-დადის თურმე.

ფოთის ქალაქის საბჭოს დაუდგენია, გადასდოს ყოველ წლივ 500 მანეთი კავკასიის სტუდენტთა დამხმარებელ საზო-გადოების სახარგებლოთ. ეს დადგენილება ადგილობრივმა ქალაქის მოურავმა უკვე აცნობა სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების თავმჯდომარეს.

ვერაზე მამულის პატრონს დ. ს. ბერიძეს განუზრახავს ცხენის რკინის გზის გამართვა ვაროზის ხევიდან ნაგუბარამდე წყნეთისკენ. რადგან ეს ადგილი ჯერ ქალაქის ფარგალში არ არის შესული, ბ.ნ ბერიძეს უთხოვნია მაზრის უფროსისთვის, ნება მომეცით ამ ადგილას ორი ვერსის მანძილზე გავიყვანო გზა-ტყეცილი და მერე გავმართო ლიანდაგი ვაგონების სასიარულოთათ. ამასთან ბერიძე სდებს ბეთ 5000 მანათს. წყნეთის სოფლის საზოგადოებას თავის მხრივ განაჩენით დაუდგენია იმუშადგომდროს, რომ ბერიძეს ამ გზის გაყვანის ნება მიეცეს. ადგილის პატრონებიც თანახმანი არიან დაუთმონ ბერიძეს საჭირო ადგილი გზა-ტყეცილის გასაყვანათ. მაზრის უფროსმა ეს საქმე გუბერნატორს გადასცა განსახილველათ.

ამიერ კავკასიის რკინის გზის იმ ნაწილში, რომელიც შემოსავალს განაგებს, ყოველ დღე სადგურებიდან მოდის ანგარიშები, რამდენი ბილეთები გაიყიდა და რა წონის ბარგი გადაიზიდა და რა ფასი გადახდა წამსვლელ-გამგზავნელ მგზავრს. ამ ანგარიშების გადასინჯვის შემდეგ, შემოსავალთა ნაწილში აღმოჩნდება ხოლმე, რომ სადგურის უფროსს ან კასირს სრულათ არ შეაქვს კზის კასაში შემოსავალი გაყიდულ ბილეთებისა და გავზავნილ საქონლისა. მოხდება ხოლმე, რომ აგენტი ან ვერ აიღებს მგზავრისაგან ფასს, ან ანგარიშს რიგინათ ვერ შეადგენს. შემოსავალთა ნაწილი ანგარიშების გადასინჯვის შემდეგ ადგენს ანგარიშს იმისას, თუ რამდენი ფული აკლია შემოსატანათ აგენტს ან რა დროს განმავლობაში უნდა შემოიტანოს ეს დანაკლისი. სადგურის უფროსი სხვადასხვა მიზეზების გამო ხშირათ უარს ამბობს ხოლმე ნაკლის შევსებაზე და ქალაქებს უკანვე აბრუნებს. ეს ქალაქები დიდხანს მოგზავრობს ჯერ სადგურზე აგენტის ხელში, მერე შემოსავალთა ნაწილში. ხშირათ ამ ქალაქებს ვადა ეკარგებათ და სადგურის აგენტი ხელმეორეთ თხოვნის შემდეგ, შემოსავალთა ნაწილს უარს უცხადებს მათ შესრულებაზე, როგორც ვადაგასულ ქალაქებისას. ამიტომაც შემოსავალთა ნაწილის უფროსმა გარტმანმა სთხოვა გზის უფროსს ივანოვსკის, რომ ამ ვადაგასულ ქალაქებით ფული გადახდეთ წვრილ მოხელეებს, რომელნიც ადგენენ გადასახადის ფურცლებს. გზათა უფროსსაც ეს წინადადება დაუმტკიცებია და შესაფერი განკარგულებაც მოუხდენია. ჩვენის აზრით, ამ ქალაქებს ძალა ეკარგებათ თვით იმ უფროსების წყალობით, რომელნიც წვრილ მოხელეთა ქალაქებს აწერენ ხელს და არ ახდენენ განკარგულებას, რომ დროზე სისრულეში მოიყვანონ ქალაქი. მაშასადამე წვრილების დასჯა უადგილოთ და რსამართლოთ თნდა ჩაითვალოს.

უკვე გვქონდა მოხსენებული, რომ გორის მაზრაში, სურამის მახლობლათ მთაში ყაჩაღთა ბრბოა, რომელიც მოსვენებას არ აძლევს გამვლელ-გამომვლელთა და სოფლის შეძლებულ მცხოვრებთ. ეს ბრბო სურამში 26 ივნისს შეუკარდა ებრაელს თარუნაშვილს, დასჭრა იგი და იმისი ორი რძალი და მოუკლა 19 წლის შვილი. 29 ივნისს ბრბო თავს დასცემიან მოლითში ერთს ვაჭარს, შეუმტვრევია კარები, ვაჭარი ბერდანკით დაუჭრია და რაც მოუსწრია, წაუღია. 30 ივნისს კიდევ ქერათხევის გზაზე შორაპნის მაზრაში მიმავალ გიორგი ჩინჩალაძეს დასცემიან და გაუძარცვათ. ყაჩაღების თავხედობა იქამდე მივიდა, რომ სოფელში შეძლებულ პირებს კაცებს უგზავნიან და უთვლიან ამდენი და ამდენი ფული გამოგზავნენ, თორემ ერთ ღამეს მოვალთ და სულ ერთიანათ ამოგზოცავთ. ღარბ მგზავრებს ქერათხევის გზაზე ყაჩაღები აქამდე არას უშავებდენ, ახლა კი გაუტარცვავს აღარავის უშვებენ.

ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ დაადგინა ამას წინეთ მომხდარ კრებაზე, რომ დებუტატთა საკრებულოს წინამძღოლის კანცელარიის და სხვათა შესანახათ განსახადი გააწერონ თავადაზნაურთა მამულებს. გადასახადი ერთნაირი არ არის ქალაქსა და სოფელში. ქალაქის მცხოვრებ თავადაზნაურთა მამულებზე გაიწერა ღირებულობისდაკვალოთ 100 მანეთზე 5 კაპეიკი, ხოლო სოფელში დესიატინა მიწაზე—1 კაპ. სოფლის იმ მცხოვრებთ, რომელთაც 10 დესეტინაზე ნაკლები აქვთ, გადასახადი არ გაიწერებათ.

ყარსის ოლქში საქონლის ჭირი გაჩენილა. იქიდან დიდძალი საქონელი მოყავთ თფილისში დასაკლავათ. სხვათა შორის, ან დღეებშიაც წამოუყვანიათ. გზაზე ბეთოლებს გაუსინჯავთ და გამოუშვიათ. აქ, ქალაქში, აღმოჩნდა, რომ 5 სული ჭირიანი იყო.

ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრათ დაუმტკიცებიათ ამასწინეთ ადგილობრივ საბჭოს მიერ არჩეული გიორგი ყურული.

პარასკევს, 27 ივნისს, დრამატიულ საზოგადოების გამგეობასა და მიწვეულ პირებს კიდევ ქონდათ მოლაპარაკება რეჟისორისა და რეპერტუარის შესახებ. უმრავლესობამ სასურველათ სცნო რეჟისორათ დაინიშნოს არა არტისტი, არამედ სრულიად გარეშე კაცი, რასაკვირველია, სცენის მკოდნე. თუ ასეთი კაცი არ აღმოჩნდა, მაშინ, კრების აზრით, უმჯობესია მორიგი რეჟისორობა დაწესდეს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავადაზნაურთა თეატრი მომავალ წელს დრამატიულ საზოგადოებას რჩება იჯარით. თეატრი დრამატიულ საზოგადოებას დაეთმოდა 2000 მან. და არა 4,500 მანეთათ, როგორც წინათ იყო. ესეთი გადაწყვეტილება სწორეთ სასიხარულოა.

ტფილისის პირველ ღამის თავშესაფარის გამგემ, მ. კლიმიაშვილმა, წარუდგინა ქალაქის გამგეობას ანგარიში თავშესაფარის მოქმედების შესახებ ივნისში. თავშესაფარში ყოფილა 1285 მამაკაცი 179 დედაკაცი. სულ 1464 კაცი. აქედან ქართველი ყოფილა 122 მამაკაცი და 60 დედაკაცი, რუსი—511 მამაკაცი და 85 დედაკაცი, სომეხი—604 მამაკაცი და 30 დედაკაცი, პოლონელი—48 და გერმანელი—4.

შავი ზღვის პირათ განზრახულ რკინის გზის საქმე, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები გადმოგვცემენ, საბოლოოთ გადაწყდა. გზა უნდა გაიყვანოს კავკასიის რკინის გზის საზოგადოებამ და უნდა შეუერთოს ამიერ-კავკასიის გზას. შეერთება მოხდება ახალ-სენაკის სადგურთან. აქედან ლიანდაგი სოხუმისკენ წავა, მერე ზღვის პირ-პირ გასწევს ველაამინოვის ნავთსადგურისკენ, საიდანაც ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მიმართულებას მიიღებს, მდინარე ყუბანის ერთ-ერთ შტოს ხეობაზე გაივლის და არმოვირის სადგურთან კავკასიის გზას შეუერთდება. რკინის გზა, სხვათა შორის, სოჭაზედაც გაივლის.

თფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა კოკჩაევმა შეიტანა გამგეობაში საბჭოს მინდობილობით შემუშავებული შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქი განთავისუფლებულ იქნეს ქალაქის პოლიციის შესანახ ხარჯებისაგან. ახლა წლიურათ ქალაქს ეხარჯება პოლიციაზე 116,908 მან. ამის ატანა ქალაქს არ შეუძლია, რადგან მისი ფინანსიური მხარე მეტათ სუსტობს. ქალაქი კრებს შემოსავლის მაქსიმუმს, რის შეკრებაც კი შეიძლება, და მეტი შემოსავლის მიღების იმედი არა აქვს.

ხოლო პოლიციის შენახვას თანდათან მეტი ხარჯი სჭირდება, რადგან ქალაქი თანდათან იზრდება და პოლიციის მოხელეთა რიცხვს ემატება, ამიტომ ქალაქის თვითმართველობა შეამდგომლობს, რომ ის განთავისუფლებულ იქნეს პოლიციის შესანახ ხარჯებისაგან.

„პრავეტელსტვენი ვესტნიკ“-ში სახალხო განათლების მინისტრის ცირკულიარია დიბეჭდილი. მინისტრი აუწყებს სამოსწავლო ოლქების მზრუნველებს, რომ საშუალო სასწავლებლებში და ზოგან საშოქალაქო სკოლებშიაც დისციპლინა დაცემულიაო, მოსწავლენი თავაშვებულნი არიან და უფროს კლასებში მოსწავდიეთა შორის მივებელი მიმართულებათაო. ცირკულიარში ნაჩვენებია, რა საშუალება უნდა იხმარებოდეს, რომ ახალგაზღვობაზე ზედ-მოქმედება გამოიხიონონ და ცუდი მხარეებიც მოსწავდიეთა შორის მოიხსოს.

ქუთაისის გუბერნიას 1 ივლისიდან ბათუმის მხარე ჩამოერთვა და გუბერნატორს სამხედრო ნაწილიც აღარ ექვემდებარება. ბათუმის ახალ ოლქს განაგებს სამხედრო გუბერნატორი, რომლის თანამდებობა უმაღლესის ბრძანებით ებოძა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის თანაშემწეთ ნამყოფს დრიაგინს, მისი კანცელარია ჯერ არ არის სრულათ შემდგარი, მთავარმართებლის თანაშემწემ 29 ივნისს დამიტკიცა საგანგებო საქმეთა და სააღმშენებლო განყოფილების მოხელეთა შტატი.


საქართველოს ებარქიაში წარსულ სამოსწავლო წელს 198 სამრევლო-საეკკლესიო სკოლა ყოფილა. აქედან მეორე ხარისხის სკოლა ყოფილა—2, ორ-კლასიანი—8, ერთ-კლასიანი—4.144. სკოლაში ორისავე სქესის მოწაფენი ერთათ სწავლობენ. 25 სკოლაში მხოლოდ ვაჟები არიან, 29 სკოლაში მხოლოდ ქალები. სულ სამრევლო სკოლებში წარსულ წელს ითვლებოდა 8592 მოსწავლე. აქედან ვაჟი იყო 5075, ქალი—3521, ასე რომ თითო სკოლაზე 43 მოწაფე მოდის. სარწმუნოებით განიყოფებიან ასე: მართლ-მადიდებელი—7742, სომენ-გრიგორიანი—491, სექტანტი და მწვალებელი 247, მაჰმადიანი—61, კათოლიკე—25, პროტესტანტი—2.

28 ივნისს თფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია ტიხორეცკის მუშების საქმე, რომელთაც ბრალდებულათ 17 ნოემბერს 1902 წ. მართებლობის და ჯარებისათვის წინააღმდეგობის გაწევა. პალატაში საქმე გადმოიტანეს ბრალმდებლებმა რომელნიც უკმაყოფილო დარჩენილიყვენ ეკატერინოდარის ოლქის სასამართლოს განჩინებით.

ოლქის სასამართლოში ეს საქმე გაიჩნა 5—8 მარტს. პასუხისგებაში იყო მიცემული 14 კაცი; ამათგან 6 გამართლეს, დანარჩენ რვიდან 1—სამსახურიდან გამოსულს ჟანდარმს დიმიტრიევს მიუსაჯეს სამი წლით პატიმართა რაზმში გაგზავნა (დიმიტრიევი პალატაში საქმის გარჩევამდე გარდაცვლილა) ოთხს—ექვს-ექვსი თვის ციხე და სამსაც პატიმართა რაზმში გაგზავნა—ნიკიტასენკოს და ბასაკაოვს წლინახევრით, ხოლო ისაევს—ერთი წლით (უწლოვანთა). პალატაში საქმე ამ სამ უკანასკნელთა საჩივრით გადმოვიდა. საქმე გაიჩნა, თანახმათ იუსტიციის მინისტრის განკარგულებისა, დახურულ კარებში.

ბრალდებულთ იცავდენ ნაფიცი ვეკილი თანაშემწენი ლ. ნ. ანდრონიკაშვილი (ბაქოდან) და პ. ს. შირსკი (ეკატერინოდარიდან). პალატამ სამივეს შეუშსუბუქა სასჯელი: ნიკიტასენკოს და ბასაკაოვს ჩამოუყვანა ერთ წელზე პატიმართა რაზმი, ხოლო ისაევს რვა თვის საპრობილემდე.

პირველ ივლისს თფილისში დაიწყო ზანგუზურის მთამადნის მრეწველთა კრება. კრების უმთავრესი საგანია დებულების შემუშავება. თვით კრებებზე შემდეგ მსჯელობენ პარაკებთ.



კორესპონდენციები

სოფ. ძველი-გაგაზი. სოფლის ურილობაზე ამას წინეთ მამასხლისმა გამოუცხადა ხალხს, რომ შერეუები უნდა ამოვირჩიოთ კვლავინდებურათ და აგრეთვე ოთხი კაცი ადგილ-მამულებზე ხარჯის გასწერათ. შირველმა საქმე შერეუების ამარჩევამ ხალხში ცოტა დაზარატი გამოიწვია და ხალხმა ერთხმად ამოიჩნა სავა კაცი შერეუებათ, დაუდგინა ქადაღდი, რომელიც მინიჭა უფლება ეგელა შეკომურისთვის წყალი ჯერით შეეცათ. ხარჯის გასწერათ ამარჩევამ ხალხში დაზარატი გამოიწვია. ბევრნი ატხადებდენ უარს წინანდელ ხარჯის გასწერათ ხელმეორეთ ამარჩევასზე და გაიძხოდენ: ჩვენ ხელმეორეთ არც წინანდელ ამოვიჩვეთ, მამასხლისო, თულის გამოწერებათ და არც ახლებს, ვიდრემდის შარშან ამარჩეული თულის გამოწერნი ანგარიშს არ მოგვცემენ, თუ რა თუელი გასწერეს, ან რა შეკრიბეს ჩვენს სოფელსკო. ზოგს ერთი დესეტინა ვენახი აქვს და 14 მანეთი შეაწერეს, ზოგს სამი თუმანი გამოართვეს ორ დესეტინა მამულში — უსამართლობაა დემეტმანი, გაიძხოდენ სხვები.—ერთი დესეტინა მამული სამ დესეტინათ გამოყავთ და იმის შესაფერ ხარჯს აწერენა. სამართლიანი იყო, სწორეთ, რაზედაც გლესობა ურილობაზე უარს ამბობდა.

მას შემდეგ, რაც ადგილ-მამულების გარდასახადი შემოვიდა, გლეხები ძალიან ბევრ გარდასახადებს ახდიან, რის გამოც მუდამ წელიწადს დაბრკალებაში არიან. ამ მხრით გლეხების შეწუხებას კი ეშველება, თუ უურადდებით შეხედა ვინმემ. ასე ზედ-მეტ ხარჯების გადახდაზე სწივიან გლეხობა არა მარტო სოფ. ძველ-გაგაზში, არამედ მთელს კახეთში. ეგელა დამეთანხმება, რომ უფრო კანონიერია კომეურ გარდასახადის მაგიერ ადგილ-მამულების დაკვლათ ხარჯის გაწერა, მარა ვერც იმას უარს უთვს ვინმე, რომ ადგილ-მამულების გარდასახადი კანონიერათ არ სრულდება სოფლებში (იხილე ჩემი კორესპონდენცია ამა წლის № 15-ში). ურილობა მით დაბოლოვდა, რომ ვიდრემდის წინანდელი ამარჩეულნი ანგარიშს არ მისცემენ სოფლის ამარჩეულს თორმეტს კაცს, მინამ ახლათ ადგილ-მამულებზე ხარჯის გასწერას არავის ამოიჩვევენ.

კოტე ალაზნისპირელი.

დ. ჭიათურა. შკითხველებს უსათუთ ეტობინებათ, რომ ჭიათურაში არსებობს შაგი-ქვის მრეწველთა საბჭოს ხარჯით საკვირაო შოკა. რასაკვირველია, ეგელასათვის ცხადია რა საარგებლობის მოტანა შეუძლია საკვირაო შოკლას მუქა-ხალხისთვის, რომელთაც გარდა ნივთიერ ქონებისა და ხნოვანობისა დროც არ აძლეფთ საშუალებას სხვა შოკლებში ისწავლენ მეტი თუ არა, წერაკითხვას მინც. თითქმის ეგელა დაზა-ქალაქებში არსებობს საკვირაო შოკლას და მისი სულის ჩამდგმელი ადგილობრივი ინტელიგენციაა. ჭიათურაში კი სულ წინააღმდეგს ვხედაფთ. ჭიათურის ინტელიგენცია არამც თუ სულის ჩამდგმელი ყოფილა ჭიათურის საკვირაო შოკლისა, არამედ სულის ამომხდენი, რადგანაც ის (ინტელიგენცია) ისე გაურბის საკვირაო შოკლას, როგორც კურდღელი მწველს. აქ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა ბ. ს. კვიციანიძე იყო ჭიათურის საკვირაო შოკლის გამგეთ, მაშინ უფრო კარგათ მიდიოდა სხენებული შოკლის საქმე. მოწაფეთა რიცხვი საკმაო არის, კიდევ მატულობს, მაგრამ თუ ისეთი ერთგულება გაუწია ჩვენს ინტელიგენციამ ჩვენს საკვირაო შოკლას, როგორცაც ახლა უწევს, შგონი მიემატება კი არა, ერთიც აღარ მიეკარება. საჭიროა

ჯერჯერობით უნდა იქნას იმ კარგობებს, ვისგანაც ჯერ არს. გაზაფხულად თუ არა ბ. ქუჩის ეფექტური კვირის მართვის წარმოდგენებს ადგილობრივ თეატრში. ერთთერტი გასართობი ჭიათურის მხარეში მხარეში თეატრია. ჭიათურის საზოგადოების ძალიან უყვარს იაფ-ფასიანი წარმოდგენა, ძვირფასიანი კი ძალიან ეკავრება. სასურველია, იმართებოდეს ჭიათურაში იაფ-ფასიანი წარმოდგენები, თვარა ძალიან უფროსის მუშა-ხალხი ძვირ-ფასიანი წარმოდგენას. მუშის კი არა, მგონი, სხვებისაც დაფრთხილეს ძვირფასიანი წარმოდგენას! ერთხელ გამართეს იაფ-ფასიანი წარმოდგენა და თეატრის დარბაზი ისე გაივსო ხალხით, განსაკუთრებით მუშებით, რომ ტევა არ იყო.

ორ-ფეხა.

დ. სამბრელია. ტელეგრაფის კანტონში ისეთ უწყვეტი გზების აქვს ადგილი, რომ ვეკვამ სხვაგან სადმე მოძიებებოდეს ამის მზგავსი. რაც კი რამე მოეპოვებათ, წერილები, გაზეტები თუ ჟურნალები, ყველა ერთიანად არის გამოფენილი და გასაყი. მიმსვლელები თვითონ აიხილებენ თავიანთ კარგებობას და, რაც უნდა წაიღონ, ურადლებას არაფერს აქცევენ. რა გასაკვირველია ყველა ამის შემდეგ, აქ რომ რამე დაიკარგოს და ხატონის დანიშნულებისამებრ არ მიუვიდეს. აქ ხშირად შეხვდებით მომჩივნის დღეს ყველამ მიიღო გაზეთი და მე რა დავაშავო. თუ ჟურნალები და გაზეთები იკარგება, მას წერილები ხომ უფრო დაიკარგება, და ხატონიც ვერას ვაიკებს. აქაური კარგებობდენტები ამგვარ რამეებს არ აქცევენ ურადლებას და ისეთებს კი ეღობან, რაზედაც არ ღიხს ღაზანაკი.

Z.

რ უ ს ე მ თ ი ს მ ხ მ მ რ მ მ მ

6 ივნისს 1902 წ. სოფ ვოზნესენსკში უნდა აცხადოთ მთავრობის განკარგულებით საქონლისათვის თურქული. გაუზაფხინათ ფელდშერი, რომელმაც მამასხლისის ბრძანება მისცა მეორე დღეს მოერეკა საქონელი სასოფლო გამოცემის ეზოში. გლეხები არ დაუმორჩილენ უკანასკნელის განკარგულებას და არ მოერეკეს საქონელი და სოფლის მოხელეებმა ძალიან მოერეკეს 200 სული საქონელი. ამ დროს შეგროვდნენ სოფლის ქალები რიცხვით 30—40, ჯარებით შეიარაღებულნი და მიაწოდნენ სასოფლო სასამართლოს აღაფთის კარებს საქონლის გამოსაშვებათ; შეანგრის კარები და გამოუშვეს საქონელი. ფელდშერმა ყველაფერი აცხადო ადგილობრივ ბეითადს, რომელიც ბოქაულის ერთად გაემზავრა სოფ. ვოზნესენსკში. სოფელს რომ მიადწიეს, დაინახეს ქალები, რომელთაც სხვადასხვანაირი სამეურნეო იარაღი ეჭირათ ხელში და ისე დადიოდნენ ქუჩებში. მოხელეებმა არაფერი ურადლებას არ მიაქციეს იმ კარგობებს, რომ ქალები აღეფეგებულა იყვნენ და უბანის ზოლიციელთ, ისევე მოერეკათ საქონელი. მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა—გლეხებს უკვე 10 ვერსტის სიშორეზე გაუდნათ საქონელი. ბეითადი და ზოლიციის ბოქაული თვითონ გაუდნენ გზას საქონლის საზაფხათ. ადგილზე რომ მივიდნენ, დაინახეს 400-მდე თავმოყრილი სოფლის ქალი. ამ ქალებმა ალყა შემოარტყეს მოხელეთა ეტლს, ცხენებს ადვირში წაგდეს ხელი და განზე გადახვედნენ, ასტყენს ერთი ვიერილი და თან სამეურნეო იარაღს აქნევენ ჭიკში. მოხელეებმა უბრძანეს ზოლიციელთ დატოვონ ქალები, მაგრამ უკანასკნელნი არ დასდნენ და ჯარებით დაუშინეს იმით. ბეითადი და ზოლიციის ბოქაული გაუდნენ გზას და ქალებმა დაუწიეს იმთაც ჯარებისა და ქვების სროლა. ქალთა წამქეზებული ერთი გლეხის ქალი—კახაკოვა იყო, იგი წინ მიუძღოდა ქალებს და ვიწროდა: „ახლოს არ მოეშვათ ესენი, მე შეიდა წელიწადი გავატარე ბეითადის სახლში 6 ვიცი, როგორ ამზადებდა იგი საწამლავს საქონლისთვის“.

ამ არეულობის მინაწილეთაგან 57 ქალი მისცეს სასამართლოში. კახაკოვის ქალმა გულწრფელად აღიარა თავისი დანაშაული, დანარჩენი ქალები კი უარყოფდნენ. სასამართლოს დადგენილებით 37 გლეხის ქალები დამნაშავეთ იქნენ ცნობილი და მათგან სამს შიუსაჯეს სამი თვით დაპატიმრება, დანარჩენთ კი 4 დღიდან 2 კვირამდის. ოცი ქალი გაამართლეს.

კრუშევანის გაზეთი «ზნამია» აუქციონით გაიყიდა. ვაჭრობის კახსინის დროს ფასი გამოაცხადეს 3000 მანათი, მაგრამ რადგან ამდენი ფული არაფერს შეადგა, ვაჭრობა დაიწყო პირველ წამოახებულ ფასიდან. ვიღაცამ შეადგა 100 მანათი. დაიწყო თითო მანათობით მომატება. ბოლოს ვიღაც შერატტმა დაიჩინა გაზეთი 400 მანათში. ახლა გაზეთები გადმოგვეყიენ, რომ შერატტს გამოემტებობის უფლება ისევე კრუშევანისთვის დაუთმია.

ვირიშის თათრების გადასახლება თანდათან ხშირდება. პირველად მიდიოდნენ მხოლოდ სოფლის მცხოვრებლები, რომლებიც კრემის ფასით უიღდნენ თავის ქალებსა უძრავ-მომძრავს და მიუშურებოდნენ ოსმალეთისაკენ. ახლა ემიგრაცია მოედვა ქალაქის მცხოვრებთაც. გადასახლების ციებ-ცხელება ისე გაძლიერდა, რომ თათრები სტოკოვენ ყოველ-გვარ საქმეს, უიღან 10,000 მანათით დიარეულ მამულს 1000 მანათში და კარბიან ოსმალეთში, სადაც ვინ იცის, რა მოვლით. მას წინათ მაკალითათ, ერთი გემით წავიდა ოსმალეთში 800 სული თათარი

გადასახლების ასეთ გაძლიერების უმთავრეს მიზეზებათ ასახელებენ ორ კარგობებს; პირველად იმას, რომ თათრები, როგორც კულტურულად ჩამორჩენილი ხალხი, ვერ უძლებენ ამ მხრივ უფრო წინ წასულ ერთა კონკურენციას და ეკონომიურათ იზარებინან. მეორე მხრით, ისინი სრულიად მოწყვეტილნი არიან იმ ერს და კულტურას, რომელთანაც ბევრი რამე საერთო აქვთ. ამის გამო აქ მათი აღდგინება და განვითარება შეუძლებელი ხდება და ეს აიძულებს მათ დასტოვონ ერთხელვე შეჩვეული მხარე და ოსმალეთის შეათარბონ თავი.

ბელგოროდში (კურსკის გუბერნია), მეტათ მხედვრი საქმე ჩაიღინა ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა ადგილობრივ ოლქის სასამართლოს სამაზრო წევრის ბ-ნ ფლოკის შვილმა. ის შეხვდა ქუჩაში გიმნაზიის მოწაფეთა ჯგუფს და სამი საყენის სიშორიდან დაუძახა.

— გზიდან ჩამომეცალეთ, ღორებო! ერთმა გიმნაზიის მოწაფეთაგანმა, ბ. ბუხელმა, არ გადაუხვია გზიდან. ფლოკმა ამოიღო რევოლვერი და ესროლა „მოწინააღმდეგეს“. ტუვიამ მოწაფეს ტანისამოსში გაუარა და ბ. ბუხელი უფრებლათ დაღარჩა.

რამდენისამე დღის წინათ ამავე სტუდენტმა ფლოკმა საზოგადო ბაღში მძიმეთ დასტრა საერობო სტატისტიკისი ბ. სურტაიკინი თავში. საქმემ სასამართლოს გამოძიებულამდე მიადწია.

ფლოკის მამამ სთხოვა ბ-ნს სურტაიკინს მორიგებით გაეთავებინათ საქმე. სურტაიკინი დასთანხმდა და შემდეგი საცხარი პირობა დაუდო: „რადგან მომავალში უნივერსიტეტის, კათაგების შემდეგ სტუდენტ ფლოკს შეეძლება თვალსაჩინო ადგილი დაიჭიროს და ამით შეურაცხეოს საზოგადო მოღვაწის მადლი სახელი, ამიტომ პირობა მომიცით, რომ სამუდამოთ უარყოფს ფიქრი რომელიმე უმაღლეს სასწავლებლის კათაგების შესახებ“. აი ასეთი პირობა დაუდო ბ-ნმა სურტაიკინმა ფლოკის მამას. შერბოება არ მოხერხდა, რადგან მამამ ეს პირობა არ მიიღო. ამგვარათ საქმე გადაეცა ოლქის სასამართლოს განარჩევათ. ყველანი მოუთმენლათ უიღან, თუ როგორ მსჯავრს დასდებს სტუდენტ ფლოკის საქციელს სასამართლო.

საზღვარ-გარეთ

ბოლგარია და ოსმალეთი: ამის აუცილებლობა ბოლგარიისა და ოსმალეთის შუა თანდათან ცნადი ხდება. გასული წელი გამოგვეჩვენა, რომ ამ უკანასკნელ დროს ბოლგარიიდან ოსმალეთის მთელი სოფლები იურებისა და ოსმალეთში მიდიან. მიდიან აგრეთვე მანქანების ბოლგარიის (ციგნები) და ამბობენ, რომ ხელახლა დაბრუნდებიან ბოლგარულ სოფლების დასაწიკებლათ. ასეთივე მოვლენა ხდება დღეს ოსმალეთს უკანასკნელ ოსმალეთში. ამიტომ ეს ფაქტი ამის მანკურებელია, რომ ოსმალეთის დასაწიკების მოსალოდნელია. ამასვე მოწმობს ის გარემოება, რომ ოსმალეთს ჯერ კანუნიკული უმეტებენ ბოლგარიის საზღვარზე. ბოლგარიის დიდ მზადებაში; მარა ოსმალეთს ჯერ რიცხვით რამდენჯერმე აღემატება ბოლგარიის ჯარს. თვითივე სადარჯობზე ბოლგარიის მხრივ 100 კაცამდე ძლიერს აღწევს; ოსმალეთს კი თვითივე მხრივ 500—700 კაცამდე უავთ დაუბნებელი. ასეთი გაძლიერება ოსმალეთს ჯარისა ბოლგარიის საზღვარზე მეტათ აფიქრებს ბოლგარიის მთავრობას და ეს თავის ნატაში, რომელიც მიმართულია ევროპის სასულიერო-თაღში, ზრტყის აცხადებს ოსმალეთს ასეთი ქცევის წინააღმდეგ. ზოგადად თავის მხრივ ხსენებს აქვეყნის ამ ნატაზე, მარა ის უფრო საკითხის გადაფიქრებას და არა ხსენებს. ზოგადად აცხადებს, რომ ბოლგარიის მოქმედება ისეთი ხსათისაა, რომ უნებლიეთ იწვევს მის უკრძლებს და აიძულებს საზღვრების გამაგრებას. ზოგადად სურს ამგვარი დიპლომატიური ხრიკებით და უაღბო ცნობების გაფრცხლებით თავი აუხვიოს ევროპის საზოგადოებას და დაფაროს ნამდვილი მიზანი თავის მოქმედებისა.

ბოლგარიის საზღვრებისა სწორად უნდა იქნებოდეს შეტაკება ერთმანეთში ბოლგარულ და ოსმალულ დარჯობებს. საზოგადოათ ამ შეტაკებებში გამარჯვებული ბოლგარული გამოდის. მაგ., ჩაშინაში ორჯო კანისკან შემდგარი დარჯობა ჯარი ოსმალეთს დაესხა თავს მტრე რიცხვით ბოლგარიის დარჯობა. უკანასკნელებს მიხედვით აღიღი ეჭირათ და ადვილათ შესძლებს თავდასხმელათ უკანვე გაბრუნება. შეტაკებამ იმსხვერპლა 30-მდე ოსმალეთს ჯარის კაცი. ბოლგარულებს დაუტრეს მხოლოდ რამდენიმე კაცი.

ბერძენი: რეისტაგის არჩევნების დროს სოციალ დემოკრატთა ზარტის გამარჯვებამ დიდი ღაზარაკი გამოიწვია ბრესლას და საზოგადოებაში. მოკვლავს ზოგიერთი მწერლების აზრი. კ. კაუციკი სწერს, რომ ბერძენი სოც.-დემოკრატების ასეთ ბრწინვალე გამარჯვების შემდეგ მთავრობამ ორში ერთი უნდა აირჩიოს. ან დათმობის პოლიტიკას დაადგოს, როგორც ამას ხსნიან ინგლისი და შვედეთული შტატები, ან და ისევე ძალმომრეობას მიმართოს სოციალიზმის ასეთ პოტენციულ მოძრაობის ჩასაქრობათ. ამ ხანათ ბერძენის მთავრობას და ბურჟუაზიას არ მოეპოვებთ სამუალებს ევროპიური რეფორმების შემოსაღებათ. მეორე მხრით განსაკუთრებული კანონებით პოტენციური წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია. კიდევ რომ აღმოჩნდეს ასეთი შერისმტყურებლობას მოკლეული სასულიერო მოღვაწე, რომელიც გაბედავს ძალ-მომრეობა იმხარის სოციალისტთა წინააღმდეგ, ის ამით მხოლოდ მოახლოვებს აუცილებელ კატასტროფას, რომლის შემდეგ პოლიტიკური ძალა სოციალ-დემოკრატების ხელში გადავა. ხოლო თუ მთავრობა განაგრძობს კვლავინდებურათ რყევის პოლიტიკას, ის ვეღარ შეძლებს ზარტათა ანტაგონიზმის შემცირებას, შესუსტებას და უეჭველათ ამ ანტაგონიზმის მისხვერპლი გახდება. უფროდ შემთხვევაში, სოციალისტების სრული გამარჯვება ახლო მომავალში — უფროდ ეჭვს გარეშავს... კონსერვატიული გასუთები კი კიდევ ბიუდჟის, რომ ის შიშით შეუერთებს სოციალ-დემოკრატებს და ამით ხელს უწყობს მათ გამარჯვებას. თუ მთავრობა არ ისარგებლებს თავის უფლებით და რამე დონისძიებას არ მიიღებს სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, მაღე ეს უკანასკნელი სრულიად დაამხობენ არსებულ წეს წყობილებას. ცხადია სოციალ-დემოკრატების

ტების გაძლიერება რეისტაგში დიდ ცვლილებას შეიტანს რეისტაგის მოქმედებაში და საზოგადოათ ბერძენის პოლიტიკაში; ბუბელი აცხადებს, რომ ისინი მომავალ ზარტამენტში უკრძლებენ მარტო ოსტრუქციით დაკმაყოფილდნ: ჩვენ უკრძლებენ ვართ, სთქვა მან კარსლეუში, ჩვენ საქმე გვინდა. ახალ სავაჭრო ხელშეკრულებას ჩვენ არ მიიღებთ მანამდე, სანამ ხელ-ახლა არ გადავინჯავთ სატომოვნო ტარიფებს, რომელიც ზარტამენტს ძალათ დაახვიეს თავზე. ჩვენ ახლა იმდენათ ძლიერი ვართ, რომ შევიძლია ამის თანხმობა ვაქმევიერთ ზარტამენტს.

თვითონ იმპერატორი ვილჰელმ II სულ სხვა აზრს ადგია. ის არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ სოციალ-დემოკრატები საგრძობათ გაძლიერდნ რეისტაგში, მარა ჯერ ჯერობით მათი გაძლიერება არაფერს საშიშს არ წარმოადგენს. ისინი იმდენათ არ გაძრავლებულან, რომ მთავრობის ჩარევა საჭირო იყოს, თუმც მათი თვალუფრის დეგნება აუცილებლათ საჭიროა. ვილჰელმ II არ ეთანხმება კონსერვატორებს, რომელიც თხოულობენ კანსაკუთრებული კანონების შემოღებას სოციალისტთა წინააღმდეგ და საარჩევნო უფლების შესწავლას.

— ბერძენის სამრწველო საბჭოს ერთმა წევრმა ბ. გარტონმა შეკრიბა და გამოაქვეყნა ცნობები ბერძენის მუშა ქალთა სამუშაო დღის რაოდენობის შესახებ. გარტონს სულ ცნობები აქვს 4,752 სამრწველო დაწესებულებიდან, სადაც მუშაობს 63,264 ქალი, ამთავან 25,650 ქალი 1,832 წარმოებაში მუშაობენ 9 საათს ან ნაკლებს დღეში. 30,413 ქალი 2,391 წარმოებაში მუშაობენ 9—10 ს. 7,011 ქალი 489 წარმოებაში მუშაობენ 10—11 საათ. საშუალოდ სამუშაო დრო 9 1/2 საათია.

ბაშქონი: ოსმალეთს ბარბაროსობას დასსრული ადარ აქვს. მათმა მხეცურმა საქციელმა უფოელსავე მოლოდინს გადაჭარბა. გასული წელი გამოგვეჩვენა სამხელ სურათებს ხალხის უღანა-მსულთ დაწიკებისას. ადრანბოზლის ვილაეტში, რომელსაც აქამდე არავითარ უკრძლებას არ აქცევდენ, ახლა შეუდგენ მცხოვრებლების სასტიკათ დეგნას. ოსმალეთი ამტკიცებენ, რომ ამ ვილაეტში მალევე რეფორმაციონერები იარბლსა, და აი ამ იარბლის საძიებელათ დათარეშობენ ოსმალეთს ბაშქონუკები. რომ უფრო კარკათ გაეხსნიკათ ვილაეტი, დაურბეს იარბლი ოსმალ მცხოვრებლებს და შეადგინეს მათგან ბაშქონუკთა რაზმები, და ეს ფანატროკონები აუწერელის ბარბაროსობით ეზურობიან უფოელ მცხოვრებლებს. განხრევის წესი ამ ნაირთა: მთელ სოფელს გარს ჯარს შემოარტყამენ, ხოლო შივ ბაშქონუკები დათარეშობენ და ახადგურებენ უფოელსავე, რაც კი ხელში მოხვდებთ. თუ რომელიმე სახლში იბოვებს რამე იარბლი, იმ სახლის მცხოვრებთ უფოელს ატყვევებენ, სტანჯავენ, აწვადებენ განურჩევლათ სქესისა და წლოვანობისა. მცხოვრებლები იმდენათ შეწუხებულია ამ ბაშქონუკთა მოქმედებით, რომ თავალ-ცრემლიანი შესთხოვენ მუტასარიფებს, რეგულარული ჯარი ჩაკვეყნეთ სოფელში, ოდნებ ამ ბაშქონუკებისგან დაგვისენით. ჯარის ჩაყენება რასაკვირველია, დიდათ შემავიწროებელია, მეტე ისეთი ჯარისა, რომელიც უფოელ უფლებას ახდილათ თელის მცხოვრებთ და ისე ეზურობა მათ, როგორც ახალ დაზურბილ მხარის მცხოვრებთ. აი როგორ აგვიწერს ერთი დონდონელი კორესპონდენტი სოფლის განხრევის სურათს: 24 საღდათი და 100 ბაშქონუკი მოვიდნენ სოფ. ინიდუქში. კლკები ამ დროს სოფელ გარეთ იყვენ წასული ყანებში სამუშაოთ. სოფლათ მხოლოდ მხრეცები და ბავშვები და დარჩენილიყვენ. ბაშქონუკები დაკრიენ სოფელს და მთლათ დაღწეს, დაანგრიეს უფოელაფერი. რაც კი საფარსოვნო რამე იყო, სულ დაიტაცეს. დარბუვის შემდეგ აღმოჩნდა ცამეტი მოკლეული, 100-მდე მთაში გაქცეულდნ ჯარს. დანარჩენები სულ დასხიარებული იყვენ. ზოგს გვერდები ქქონდა ჩამტვრული, ზოგს მკლავი ან ფეხი, ჭრილობებიდან სისხლი მოსქქულიათ. ქალები გაუშვტიურებიათ. ბავშვები შტაკებზე აკოთ მშობლების თვალ-წინ და ისე ეწამებიათ.

საზრანბითი: 4 ივლისს ზარვის ზარღაშენებმა შესწავლია სხდომები შემოდგომის სესიის განხილვის.

ზალატის დახურვის საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია მით უფრო, რომ მის დახურვასთან შეერთებული იყო საკითხი ახალი გადასახადის პროექტის მიღებისა. საგანგებო კომისიის გადაწყვეტილების თანახმად ორი კვირით ადრე ზალატის დახურვამდი ფინანსთა მინისტრმა რუგიემ ახალი ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარადგინა ზალატში პროექტი გადასახადთა ახალი სისტემის შემოღების შესახებ. მარა სანამ ეს პროექტები დაიბეჭდებოდა და დაურეგისტრირებოდა, ზალატის დახურვის დრომდე მოაწია და მთავრობამ მოითხოვა პროექტის განხილვა შემოდგომის სესიამდე გადაეფათ. ასეთმა წინადადებამ ცხარე პროტესტი გამოიწვია მთავრობის მომხრეთაგან. დეპუტატი მანილდე შეკითხვას მთავრობას, რატომ არ შემოიტანა მან აქამდე ზალატში ასეთივე პროექტები ბარეტიისა და მანილორის, რომელნიც ექვსი თვის წინეთ წარუდგინეს მას. ამ პროექტების ასე მიუჩვენებს დიდ დანაშაულს უნდა ჩათვალოს მთავრობას, რადგან მას ამ სესიის განმავლობაში შეძლება ქონდა მისი განხილვისა და შესახადამე მარჯვე დრო გაუშვა მათ განხილვით, სთქვა მან. და ეს მით უფრო არ ეხატებოდა ახალ სამინისტროს, რომ არჩევნების დროს მას ასეთი პროგრამა ქონდა წარმოდგენილი. კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ასეთი დაგვიანება ფინანსთა მინისტრის ბრალია, რადგან ის გვიანდობდა მალე თავის პროექტის შემოტანას და აქამდე გვატყუებდა. ბირჟულათ 30 იანვარს დაგვიბრდა შემოტანას, შემდეგ 28 თებერვალს და ასე ამგვარათ აქამდე გაჭიანურა დრო და პროექტი შემოტანული დარჩა. რუგიემ თავის განმარტებულათ ის მოიყვანა, რომ ეს დაგვიანება იმისი ბრალია კი არაა, არამედ იმ ხოლიტიკურ პროტებისა, რომელნიც ხელს უშლის სამინისტროს მოქმედებას და სწინააღმდეგო აგიტაციით სახელმწიფოს სახელს უტყუენ ხალხის თვალში... მიუხედავათ იმისა, რომ უკანასკნელი წლის ბიუჯეტში ახალ გადასახადთა შემოღებულათ განსვადი სრულათ ითარვის შემოსავლისაგან, სახელმწიფო მიწის რენტა მანინ არ აწეულა. ამის მიზეზი კი მთავრობის სწინააღმდეგო აგიტაციაა, რომელსაც უკველია გაგულენა აქვს. ასეთ ბირბებში მან საუკეთესოთ დანახა, პროექტის გამოტანა შეეჩერებინა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ თუმცა პროექტი შემოსავლისაგან გვარათ გადასახადების შესახებ, მეტათ ზომიერი ხასიათისაა, მარა სამინისტროს მტრებს შეეძლო მისი სხვანაირი გაგება. ამოზიციონური განხეთებიც კი აღიარებენ, რომ რუგიეს პროექტს სრულიად არ აქვს პროგრესული ხასიათი, მარა შეიძლება შემდეგ შესწორების დროს ის სოციალისტურ პროტის პროგრამის განხორციელებათ გადაქცეს. წინანდელი გადასახადი, რასაკვირველია, ძლიერ სუსტია, იმდენათ სუსტი, რომ მისი უვარგისობა რეაქციონერთათვისაც კი თვალსაჩინოა. ახალი სისტემა ამიტომაც საჭიროა, მარა სამინისტროს იმის შიშიც აქვს, ვაი თუ ძველი სისტემის ძირითადი შეცვლამ ხალხის თვალში თანაგრძობობა ვერ მოიპოვოს. ე. ი. მან ეშინია, ვაი თუ ნამეტანი წინ წავიდე რეფორმებში და უკან იხედება, შორს ხომ არ გაშორებულვარ ძველ წესს. ეს ამკარათ გამოსთქვა რუგიემ და სთხოვა ზალატს გადაეღო პროექტების განხილვა შემოდგომისთვის. ზალატამ დიდი უმრავლესობით მიიღო ეს წინადადება.

ამით ერთხელ კიდევ მტკიცდება ის აზრი, რომ ამორტუნისტულ მთავრობის ძალა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ის მუდამ დათმობის ხოლიტიკას ადგია. რომ შევიტოთ რაში მდგომარეობს ეს დათმობა, ეს უკანდახევა, უნდა გავიგოთ რუგიეს პროექტის შინაარსი... ის ადგენს 4 გვარ გადასახადს, ამათში გადასახადი ფანჯრებზე და კარებზე—ეველსაგან უვარგისათ არის ცნობილი. მეორე მოძრა და უძრა ქონებაზე დადებული გადასახადი ძალიან უსწორ მანწიროთ არის განაწილებული. უძრა ქონებას აწევს

14%-ზე მეტი გადასახადი, მოძრა ქონებას 7% ეკუთვნის პროგრესული გადასახადი. საპროტენტო გადასახადი უფრო წვილ მედუნებებს ადგის, ვიდრე მსხვილ ვაჭრებს. ამნაირათ მას სრულყოფილი პროგრესული გადასახადის ხასიათი. ამორტიუნისტიკურ პროტის კი გვიანდობდა არჩევნების დროს ძველი წესის შეცვლის უფრო სამართლიანი გადასახადით. ამნაირათ ის ერთს შეგვიბრდა, მეორეს კი გვაძლევს.

მან დანხა იმ პროგრამის წინ, რომელმაც მას გამარჯვება მოუტანა არჩევნების დროს. ამნაირათ მან ითამაშა წაჯექ უკუჯექობის ხოლიტიკა, ამას ეწოდება „ორტოფობა, ორზოფობა“ და თუ „ცნობის ფურცელს“ ეს აზრი სიმართლეთ არ მიაჩნია, ვთხოვთ ფაქტებით დაგვიმტკიცოს წინააღმდეგო, და არა ცალიერი სიტყვების წამოსროლით, ფინც სამინისტროს უკანასკნელ მოქმედებს დაუპირდება და სხვ...

* *

სული დადონდა აწმეთი,
გული წაიღეს ფიქრებმა,
სევდის სამოსით შემოსს
დუხჭირ ცნობების ზვირთებმა!
სულ ფიქრი, ფიქრი მარადის,
ფიქრებს თან ახლავს ცნება,
და იმის მსუბუქ ფრთებითა
შორს მიჰქრის ჩემი გონება...
იქ მიჰქრის, სადაც სიავს
ფესვი არა აქვს გადგული,
სადაც საერთო შვება,
ძიობის ტახტია დადგული;
სადაც მზის სხივი ბურუსით
არ არის შეკრულ-დასშული,
სადაც მტანჯული არა სჩანს,
სადაც არაა ჩაგრული;
სადაც არ მოქუხს ზვირთები
ადამიანთა ცრემლისა
და სულის, გულის მომკვლელი
ხმები არ ისმის კვნესისა;
სად არ მოგვლევენ გულიდან
ჩემ რწმენის წმიდათ-წმიდასა,
და მტარვალური ძალითა
არ შემობლავენ იმასა;
სად თავისუფლათ ავაწობ
ამ ჩემი ჩანვის სიმუხსა,
და რაც მსურს—იმას დაუმდერებ
ფრთა შეუკვეცილ მის ხმებსა;
სადაც არაფინ დამიშლის
ჩემ სულის სწორის ტრფობასა,
იმასთან ბასს, აღერსსა,
მასთან სამუდმოთ ყოფნასა!..
აი, იქ მიჰქრის ფიქრები,
ამა აღთქმულსა მხარეში,
ვედარ ძლებს, სული ესუთვის
ამ ჯოჯოხეთურ არეში...
იქ... იქ... იმ ნეტარ ქვეყნისკენ,
იქ ილტვის სული და გული,
იქ მიჰქრის ჩემი გონება
აწმეთი დადონებული!..

ქ ი ძ ა

(მოთხრობა გურიის ცხოვრებიდან)

IV

(გაგრძელება. იხ. „კვალი“ № 21)

დათბა თუ არა, ქრისტინე ყოველ დღე ასეირნებდა ბავშვს ბულვარში ხან კალიასკით და ხან ხელში აყვანილს. ხანდისხან, თუ კარგი დარი იყო, ორჯერაც კი მიდიოდა დღეში: დილით და საღამოაო. მუდამ მხიარული, ლამაზი, ახალგაზრდა ძიძა, მშვენიერი მოკაზმული ბავშვით ხელში, ყველაზე საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენდა. ხშირათ გააჩერებდნენ ხოლმე მას გზაში და ეკითხებოდნენ, ვისი იყო ბავშვი, უფრო იმიტომ რომ ძიძას დალაპარაკებოდნენ. ქრისტინე გრძობდა თავის სილამაზის ძალას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მამაკაცები უყურებდნენ მას გაბრწყინებული ხარბი თვალებით, უხაროდა და კვირობდა, რომ ამდენ ხანს ვერ ამჩნევდა და არ იცოდა თავის ნამდვილი ღირსება. მას მოსწონდა აქაური უზრუნველი, მხიარული, მსუბუქი ცხოვრება და ხშირათ მოაგონდებოდა, როგორ იდგა ის შარშან ამ დროს კალთებ „ამოკაპიწებულნი“, ფეხშიშველი ბოსტანში თოხით და თოხნიდა; რასაკვირველია, ვაისათაჲ ასე დასჭირდებოდა ბოსტანის თოხნა და ყანაში სადილის ზიდვა, თუ შინ წავიდოდა. და თუმცა შემოდგომამდის, როცა ვადა უთავდებოდა მას, კიდევ დიდი ხანი იყო, სწუხდა, რომ მოაგონდებოდა შინ წასვლის დრო და უგემურათ იჭმუნებოდა.

— სოფელში სოფელური ცხოვრება: ღორი, ქათამი, ძროხა, ნეხვი, მეტს რას ნახავს კაცი, — ნაღვლიანათ ამბობდა ის, — მარტუაი ლობიეს და მქადის ჭამა მოკლავს კაცს იქინე, აქანაი კი...

— აქანაი, რაი აქანა? დაეკითხა მას მზარეული ქალი, რომელიც ვულის ტკივილით უყურებდა ქრისტინეს ამგვარ ცვლილებას.

— რაი და... შეჩერდა ის. ქრისტინე თითონაც არ აძლევდა თავის თავს ანგარიშს, რა იყო აქ კარგი. — რაი და ყოლიფერი, რა ვიცი რაი, აქანაი სიცოცხლე სიამოვნებინაა, იქინე კი მუშაობაში უნდა ამეჩხადო სული.

მზარეულმა ქალმა იგრძნო ამ სიტყვების მწარე სიძარტლე. მან გამოცდილებით იცოდა, რა ჭაბანწყვეტა არის სოფელში გლეხური ცხოვრება. მაგრამ ის ხედავდა, რომ ქალაქურ უქმ ცხოვრებას ქრისტინე უფსკრულისაკენ მიყვავდა და ენანებოდა, რომ, მისი აზრით, ასე უბრალოთ იღუპებოდა ის. მას უნდოდა როგორმე დაენახებინა ქრისტინესთვის ქალაქური უზნეო ცხოვრების ამოება; მაგრამ როგორ უნდა ექნა ეს, არ იცოდა, და უფრო დროს მოსაგებათ, რომ უფრო დასასაბუთებელი სიტყვა მოეფიქრა, უთხრა:

— შენ კი ხარ შესვენებული, მარა შენი ქმარი? იგი ზომ მაინც „იხდის სულს“ მუშაობაში, ერთი; მეორე: მქადი პური... ყორიფელი საიდან მოდის ქალაქში გასაყიდათ?

ქრისტინე შეკრთა ამ სიტყვებზე, ის ერთბაშათ ცხადათ მიხვდა, რომ თუ ერთს შეუძლია უშრომლათ ცხოვრება. ეს იმიტომ რომ მეორე სულს იხდის მუშაობაში და თითონ მაინც მშვიერი რჩება, რადგანაც ერთობ ბევრის ნაშრომს ნთქავს უქმი, მდიდარი ცხოვრება. მას მოაგონდა, როგორ ყიდდა თითონ სოფელში თავის გაზდილს და ნაშრომს საუკეთესო ქათმებს, გოჭებს, კვერცხს, ყველს. ყველაფერს ამისთანა უსაქმო ხალხი, ვინც „სიამოვნებინა ცოცხლობს“, ისინი ყიდულობდნენ. მას მოაგონდა თავისი დედა, რომელმაც დღით და ღამით მოსვენება არ იცოდა. და მაინც ისე საცოდაობა-სილატაკეში დაღლია სული, და რაღაც ბუნდოვანათ იგრძნო,

რომ, თუ ერთს მხრით ცხოვრება უზრუნველი, მხიარული და მდიდრულია, მეორეს მხრით მწუხარება, ტანჯვა და სილატაკეა. რაღაც გამოურკვეველი, მაგრამ მწვავე უსვენებელი ბა იგრძნო მან თავის ახლანდელ ცხოვრების სიხარულით შეტყობა და შეეშინდა თავის აზრებისა. ცოტა ხანს ჩაფიქრდა, რომ გამოერკვია თავისი აზრები, გაეგო იმ საშინელი სილატაკის მიზეზი, რომელიც მან გამოსცადა მამის სახლში, მაგრამ რასაც ფიქრობდა, ის აღარა სთქვა.

— მაგი მართალია, თუ შენი მახლობლები შეწუხებულა, მაშინ აღარც შენ ბედნიერებას აქვს შნოი, თქვა მან ამოხვრით.

— ეჰ, მაგან მასე იცის, თუ არ მოგიწამლა სიცოცხლე, ისე არ იქნება მაგის საქმე, თქვა ბრაზიანათ ტასიამ—თავი დაანებე ერთი, წამოდი ქრისტინე

ცოტა ხნის შემდეგ ორივენი მხიარულნი და ბედნიერი, — ქრისტინე ბავშვით ხელში—ბულვარისკენ მიდიოდნენ.

ტასია თორმეტი წლის იყო, როცა ბათოში ჩამოიყვანეს დერიანის ოჯახში სამი წლის ბავშვის შესაქცევათ, რომელიც ახლა რუსეთში კორპუსში სწავლობდა. როცა ბავშვი წამოიზარდა და შემაქცევაი აღარ იყო მისთვის საჭირო ტასია ქალბატონის ხელზე მოსამსახურეთ დაჩა და მას ემსახურებოდა. ტასია შვიდი წელიწადი სცხოვრობდა დერიანის ოჯახში, საქმე მსუბუქი და ცოტა ჰქონდა და ბატონურ, უქმ ცხოვრებაში ადამიანის ცხოვრების მიზანს მამაკაცის სიყვარულში და არშიყობა-მოწონებაში ხედავდა. ქრისტინეს ის მალე დაუფეგობრდა და თავისებურათ, თუმცა თავის შეუმჩნევლათ, სწვრთნიდა ახლა მას. ქრისტინე კი ხედავდა მასში უფრო გამოცდილ, მცოდნე ადამიანს და ყოველთვის მისი რჩევისამებრ იცვამდა ტანზე, იწნავდა თმებს ორ ნაწნავათ და იქერდა მეგობრობას ნაცნობებთან. ქრისტინეს უყვარდა ტასია, მაგრამ შურდა, როცა მის მორთულს, კორსეტით გაწურულ წვრილ ტანს შეხედავდა, და ოცნებობდა, როდესმე თითონაც ეყიდა კორსეტი, შლიაპა და ხელთათმანები. ის ელოდა რაღაც მშვენიერ ცვლილებას თავის ცხოვრებაში, მშვენიერ, ახალგაზრდა „ჩინებიან“ კაცთან, რომელიც ხან ქერა ვაჟბატონს გავდა, ხან შავგვრემან უღვავებ აწკებოლ აფიცერს, ხან მხიარულ დენჩიკს, რომელიც სულ მღეროდა, მასხარობდა და აცინებდა მას და ტასიას.

თუმცა დიდი ხანია დათბა კიდევაც, გაიარა თებერვალმა, აგერ მარტიც თავდებოდა და ბავშვი სოფლიდან არ მოყავდათ. ქრისტინე სრულიადაც არ სწუხდა შვილის უნახაობას; ეხლა ის ძვირათ იგონებდა, რომ იქ, საღდაც სოფელში, მქვარტლიან სახლში ყავს მას მწვირიანი „ჩოფანო“ ქმარი, ან რა გასახსენებელი იყო „გრლახაკოწიეო“, ცა მას იმდენი „კაი“ ნაცნობები ყავდა, ნამეტნავათ „სანდროიე“, რომელიც მას ამ რამდენიმე დღის წინეთ გააცნო ბულვარში ერთმა ნაცნობმა მოსამსახურე ქალმა.

ერთ დღეს ქრისტინე სრულიათ ჩაცმული სასეირნოთ წასასვლელათ ძიძის ტანისამოსით, დიდრონ სახელოებიანი თეთრი პერანგით, წითელი კაბით, თეთრი წინსაფარით და თავზე კოკაშნიკ დახურული იჯდა თავის ოთახში ტახტზე და არშიებინა თეთრი პლაშით ჩაცმულ პატარა ფუნთუშა ყორეეტას თავზე კაპორს ახურავდა—მხიარული ბავშვი სიცილით უფათურებდა თავის პაწია ხელებს—ძიძის კისერზე ბლომათ ჩამობმულ თაღლითის ფერად მძივებს, ძიძა კი ყოველ მის ხელების გაფაფურებაზე მოასწრებდა და ხან ერთ ხელზე და ხან მეორეზე კოცნიდა. როცა დაახურა კაპორი და გამოუსკვნა ნიკაპთან ლენტის ლამაზი მარყუჭი, მან მოსწია თავისკენ ბავშვი, გადაუწია კისერი და დაუწყო კოცნა-ფრუტუნა. გახარებული ბავშვი იცინოდა და კროჭინობდა.

ძიძას თითქო ყველაფერი დაავიწყდა: სტკებოდა ბავშვის სი-
ხარულით და კიდევ და კიდევ უფრუტუნებდა კისერში და
გულში.

ამ დროს გაიღო კარები და რაღაც ხმაურობა შემოესმა;
მან მიიხედა იქითკენ. კარებში იდგა მოცინარე ტასია, რო-
მელსაც ხელში რაღაცა ლურჯებით ჩაცმული პაწაწინა, გა-
მხდარი, ბებრის სახის ატირებული ბავშვი ეჭირა. ტასიას უკან
მდგა მზარეული ქალი და გადიმებული ცნობის მოყვარეო-
ბით შესტკეროდა ქრისტინეს. მეორე კარებიდან იყურებოდა
ქალბატონი, ქრისტინე ერბაშთ გააოცა ამ მოულოდნელმა
სანახაობამ. რისთვის, ან საიდან გაჩნდა ამდენი ხალხი, ან ეს
პაწია ბებრუცანა სად იშოვნეს? მაგრამ უცებ სინამდვილემ
გაუფლვა თავში. გაკვირვებული, შეშინებული სახით ის სა-
ჩქაროთ ადგა და ბავშვით ხელში ნელის ნაბიჯით წავიდა კა-
რებისაკენ.

— რა, ვერ იცანი? — დეკითხა მას, ტასია, როცა ის მი-
ვიდა ახლოს.

— ან, თქვა ქრისტინემ და დაიწყა იქეთ აქით დაბნეუ-
ლათ ყურება.

— მომეცი აქ ბავშვი, — უთხრა მას ქალბატონმა და გა-
მოართვა თავისი შვილი.

პირველი სურვილი ქრისტინესი, როცა ქალბატონმა ბავ-
ში ი გამოართვა, იყო ის, რომ აეყვანა ხელში ეს პაწია ბებ-
რუცანა. მაგრამ დაინახა თუ არა ბავშვმა ეს მისთვის უცხო
ქალი, რაღაც კნაგილივით ტირილით ატირდა და მიაბრუნა
თავი ტასიასკენ.

ქრისტინე, როცა ფიქრობდა თავის შვილზე, ყოველთვის
ისეთს წარმოიდგენდა, როგორც დატოვა მაშინ შინ: მსუქანს,
ფუნთუშა გოგონას და ყოველთვის ის ლამაზი ბავშვი უყვარ-
და, სხვანაირათ ფიქრი შვილზე მას არ შეეძლო; ახლა კი,
როცა ეს პატარა „დამღრალი“ ბებერი დაინახა, რომელიც
თითქო თავის დღეში არ ენახა მას, მისმა დანახვამ სიბრალო-
ლის მეტი არაფერი გამოიწვია მის გულში, მაგრამ მაინც
უნდოდა აეყვანა ხელში უფრო იმიტომ, რომ აუყვანლობა
სირცხვილი იყო. როცა ბავშვი ატირდა და მოერიდა მას,
მან რაღაც გამოურკვეველი დანაშაულობა იგრძნო, შეეშინ-
და ამისი და ეს დანაშაულობა მაშინვე შვილზე გადაიტანა,
უგულობაში ჩამოართვა და შესძულდა კიდევაც ეს პაწაწინა
ბავშვი ბებრის სახით.

— წვედიეთ, წვედიეთ ბებიასთან — აჩქარდა ქრისტინე
და წინ მზარეული ქალი, მერე ტასია ბავშვით ხელში, შემ-
დეგ თითონ გავიდნენ სასადილო ოთახში, იქიდან სამზარეუ-
ლოში.

— ძიძა, შენ ბავშვს ძუძუ არ აჭამო, სასეირნოთ წასვ-
ლა არ დაგავიწყდეს, ჩქარა უნდა წახვიდე, მიაძახა მას ქალ-
ბატონმა.

— რა ამბავია, რაი, ვერ იცანი ნენაშენი? — ამ სიტყვე-
ბით მიეგება სამზარეულოში შემოსულ ბავშვს მზეხა და გა-
მოართვა ტასიას ხელიდან. ბავშვმა ჩამალა ბებიის კისერში სახე,
ჩაჩუმდა, მაგრამ ჯერ კიდევ გულ ამოსკვნით ჩუმათ სლოკი-
ნებდა და თრთოდა. — არა, ბებიავე, არა, შვილო, არა... —
ეფერებოდა მას მზეხა.

— რა დიემართა, ბატონო, ამ ბაღანას, ასე რომ გამო-
ცვლილა? დეკითხა ქრისტინე მზეხას, როცა მისვალმენ ერ-
თმანეთს და ჩამოსდნენ იქვე ტახტზე.

— სოფლის ბაღანაი აბა რა იქნება, ნენავე. აქით რომ
წამოი რავე შენ ამისანაი იყავი, ახლა რომ ხარ ფაშასავით?
მაინც ბაღანაი იზღებდა და ზღაში ასე იცის ყოველთვის.

ქრისტინე მიხვდა, რომ ამაზე ლაპარაკს შეეძლო დღო-
მთილის გულში უსიამოვნება გამოეწვია და ლაპარაკის კილო
გამოიცვალა.

— ავთ ხომ არ ყოფილა? — ჰკითხა მან.

— არა, აჰ, აი ერთი ხანია ფაღარათს კი უშეცხა პაწას,
მარა საყმაწვილო წამალს ვალევიებ და მელიქაძის მალაზონს *)
ვალოცვიებ, ნათვალევიათ, ჩივა, სულ ამთქნარებს მალაზონს
ლოცვის დროს. თავში რომ დაყარა, ხედავ, აგი იმის ნი-
შანია.

ქრისტინემ გადმოსწია თავისკენ ბავშვი, რომელიც დე-
დის ხელის შენებაზე ისევ ატირდა, და ჩახედა თავში, სადაც
დაფუფხულებში მკბენარი ფუსფუსებდა.

— დედავ, ღმერთო, სული გამაგდებიე, რას ვხედავ ამას,
შეჭკვილა მან, მაგრამ, მიიხედა თუ არა მზარეული ქალისა
და ტასიასკენ, შერცხვა და აღარაფერი თქვა.

— რა იყო რაი? — დაეკითხნ მას.

— არაფერი, დუფუფხუხავს ბაღანაი ნამეტარი.

— შენ ექიმისთვის გეჩვენებია, თვარა საყმაწვილო წამა-
ლი და დედაბრის ლოცვა რას უზამს ბაღანას. — უთხრა მზე-
ხას მზარეულმა ქალმა.

— დედავ, რას მიჩივი, დობტურმა რა იცის ბაღანას
წალმანი! მელიქაძის მალაზონისანაი რავე იქნება...

ოთახებიდან მოისმა ხარის წკარუნი.

— არიქა, ჰე, ქალბატონი ძიძახის, — მიუბრუნდა ქრის-
ტინე ტასიას. ტასია საჩქაროთ გაიქცა ოთახებისკენ და ისევ
საჩქაროთ დაბრუნდა.

— შენ გიძახის, ქრისტინე, ჩქარა, ჩქარა, თვითან სხვა-
გან მივა.

ქრისტინე უსიამოვნოთ დაიქმუხვნა, მას არ უნდოდა ახ-
ლა არსად წასვლა.

— ახ, ერთ წამში არ დაჯენს კაცს — თქვა მან — კოწივი
რეიზა არ ჩამევიდა? დეკითხა ის მზეხას და ადგა წასასვლე-
ლათ.

— რავე, ყველიერში არ იყო აქანაი. ყოველ კვირეში
სად სცალია სასიარულოთ. ახლა საყანეს კაფავს. სააღდგო-
მოთ ჩამუა, მაინც რაღა დარჩა აღდგომამდი.

ხარის წკარუნი კიდევ გაისმა.

— აქამე რაცხა მაგინს, შენი ჭირიმე, მიუბრუნდა ქრის-
ტინე მზარეულს და საჩქაროთ გავიდა გარეთ.


დაბრუნდა თუ არა ქრისტინე ბულვარიდან, დააძინა
ბავშვი და რადგანაც ბატონები არ იყვენ შინ, დაუძახა დე-
დამთილს ოთახებში „მოწყობილობის“ სანახავათ. ქრისტინეს
ბავშვს სამზარეულოში ეძინა. მან დაარონია მზეხას ოთახები
და თანაც უხსნიდა:

— აი სასადილოა, ეს ვაჯბატონის კაბინეთია, აი ქალ-
ბატონის ბულვარი, აი ზალა, საწოლი და სხ.

მზეხას ყველაფერი აკვირვებდა.

— დედავ, რა მუზანდარაია აგი — იძახოდა ის, დიდ შკაფს
რომ შეხედა, — რამდენი ვერცხლეულობაა შიდი! — უკვირდა
ზალაში ყვითელ ხავერდ გადაკრული სავარძლების სანახაობა.
დედავ რა ყოფილა, აი ხავერდის სკამებზე რომ ჯდებიან —
უსვამდა ზედ ხელებს. როცა ქრისტინემ ერთში ძალათ ჩა-
აჯინა ის და რბილ პრუტინებში ჩაფულა, ეგონა რაღაც
უბედურება შეემთხვა და წივილ-კვილით წამოვარდა ზედ. —
არა, ნენავე, არა, მაგაზე ჯდომას ჩემ ჯორკოზე მიჩონია, —
იცინოდა ის, როცა დამშვიდდა. იცინოდა ქრისტინეც გუ-
ლიანათ.

*) მალაზონს გურიაში ეძახიან მოხუცებულ ქალს.



— რამხელია სარკვებია!.. აი რაღა? ლაჩაქის ფარდები მისდღემში არ მინახავს. რა ლამაზია! მარა ყორიფელი რომ ხანს შით, რაღა საჭიროა? დედავ, რა ნოხები აგია მიწაზე... ვაიმე, იკივლა მან ერთბაშათ, რადგანაც ამ დროს სათლით დაფერილ იატაკზე ფეხები დაუსხლტა და კინაღამ დაეცა. — არა, ნენავ, ჩემ ჯარვეალში მიწაზე სიარული მიჩონია აქანაი სიარულს. კიდევ უფრო და უფრო გაკვირვებული და შეშინებული იცინოდა ის.

— აბა აქეთ წამოი, ამას უყურე, — ეუბნებოდა ქრისტიანე და მიყავდა ფორტეპიანოსკენ, კედელზე ჩამოკიდულ დიდრონ ნახატებისკენ.

— აბა, სიცოცხლე აქანაია, მე უბედურს რომ აფერი მინახავს, — ამბობდა მზეხა, — რა ყოფილა, რა ყოფილა აგია!.. დაუსრულებლათ კვირობდა ის. ყველაზე უფრო გააოცა სალდათმა, რომელიც შჩოთქებზე შემდგარი იატაკსა სწმენდდა.

— დედავ, რას ტლინკავს აი ყაძახი? — იკითხა მან, დიანახა თუ არა ის. როცა შეიტყო, რომ ოთახებს სწმენდს, ჯერ არ დაიჯერა, ქრისტიანე ეხუმრებოდა ეგონა და როცა მერმე თითონაც დაინახა, რომ სადაც სალდათი „ტლინკავდა“, იქ იატაკს უფრო პრიალი გაჰქონდა და როცა მერმე ცოცხით დაუწყო სახლს გვა, მის გოაცებას საზღვარი აღარ ჰქონდა.

— ამხელა ყაძახი ამიზა ცდება, ამისთანა გაცეცხლებული მუშაობის დროზე! სახლს ხვეტს და ოთახებში ტლინკავს?! დედავ, რეიზა „ჩაყენეთ, მაი უბედური ამისთანა სირცხვილში! ვაი თუ ჩემი გოგონიც ახლა ვინცხაის სახლს ხვეტს! — იტკვლიცა მან შუბლში ხელი და მოიღრუბლა უცებ. — ღმერთი არ მომასწრებს მე ამისთანა სირცხვილს, რომ ქალის საქმეს შობოდეს ჩემი გოგონი.

— ბატონო, ახლა მაგინს კითხე. სალდათებს ჯარში ყოფნას აქანაი უჩონიან, კის ჰამენ და კის სმენ.

— ღმერთო მომკალი! რავა, მარტუაი ჰამა და სმაიზაა კაცი გაჩენილი? ვაჟაკმა ვაჟაკური საქმე უნდა გააკეთოს: ყანა უნდა იმუშაოს, სარჩო უნდა მოიმუშაოს... აი შენი ოთახია? შესწყვიტა მან ლაპარაკი და დაეკითხა რძალს, როცა შევიდენ ქრისტიანს ოთახში.

— ცხოვრება შენ გაქ, თვარა მე უბედურს მის დღემში არ მღირსებია ამისთანა ლოკინზე წოლა... რავა, ბალანაი სულ ამ ურემაში წევს?.. ეჰ, რას მიჩივი, რავა, აკვანი რეიზა არა აქ?.. უბედური ციცი, რომ დაქვრივდა, ორსულათ დარჩა. მინდა იგიც გუუშვა ძიძათ, დაუმატა მზეხამ დაღონებული.

— რომელი ციცი?

— მაკრინაი უბედური, გენის ცეცხლათ დარჩა ბალნე-ბიანი.

მაკრინაი მზეხას უფროსი ქალიშვილი იყო.

— რავა, გიტოიეი მოკტა? ოო, უბედურო მაკრინავ!.. თქვა ქრისტიანემ და მისმა ფიქრებმა უცებ სხვა მიმართულება მიიღო. მას მოუნდა თავისი სოფლის ამბების გაგება და ყურადღებით დაუწყო დედამთილს ცქერა. ისინი მივიდენ და დასხდენ ფანჯარასთან ტახტზე.

— ხეს სხვდა იგი უბედური, გაღმუარდა და ქე გავარდა სული, განაგრძო მზეხამ — მაინც წრეულს რომ ჩვენ სოფელში უბედურება დატრიალდა იმისთანა არ მომხდარა. გახსოვს ესმაიეი ესტატიეს ცოლი?

— ჰო და იგი, რაფერი ლამაზი ქალი იყო. თავი დეირჩო წყალში.

— ვაიმე რეიზა?

— ღმერთო შეგცოდე, — მიირტყა მზახემ პირზე მჯიღეი, ნუ მიკალონებ და ღირსი ქე იყო: თავს ვერ მტუარა დედაკაცმა, შინ ორსული ჩამევიდა. ყაძახმა რომ აი შეიტყო,

ცეცხლი გადიერო გულზე, ტატიკამც კი დეიდა მისი ცოდვა, რაღა დროისაა! ანთებულ ცეცხლს ნავთი გადაარო. გალახეს ორივე დედა-შვილმა და გაავდეს, მტყუნებულნი. რი შინიდან გამოგდებული დასთან მისული... თვეათ, დამ თურმე არ შუუშვა სახლში. ზოგი ჩივა, მანც გალახა და ისე გამუჟავდო. იქიდგან გამობრუნებული წასულა იგი საცოდვაი და გადავარდნილა წყალში. ფეხსაცმელები და ჩლოუქები წყლის პირზე დაეტიებია. სამი დღის მერმე ნახეს, წყალს გამიეგლო საშინლათ გაბერილი და დამახინჯებული.

— უბედური! — თქვა ქრისტიანემ, — მას მოაგონდა, როგორ შემოდოდა სალამოობით მასთან ვაჟბატონი და უბარტყუნდებდა ხელს ლოყაზე. მას შეებრაღა თავისი თავი და ჩაფიქრდა.

— იმის ტირილზე იყო მატაიეი, რომ ნახა თავის საქმარომ, მიეწონა თურმე და ახლა ნააღდგომევეს ჯვარს იწერს.

— ბაბინაი რომ გათხოვდა, შეიტყვე?

— კი, კოწიამ მითხრა.

— იგიც გითხრა, იმის ქორწილზე სიმონიკამ რომ ფუშა მუცელში ანტონას სატეგარი და სული გაავდებია?

— არა, მაი არ უთქვამს.

— კი არ იცის იმ უბედურმა ამბავის დამთავრება.

ქრისტიანე თვითონაც ამას ფიქრობდა და დედამთილის სიტყვები კოწიანზე ესამოვნა. მაშინვე მოაგონდა, როგორ სწყინდა მას სოფელში, როცა ქმრის საყვედურს ეტყოდა ვინმე; ის ცოტათი დაინარა და ოღნავ გაიღიმა.

მზეხა კი განაგრძობდა:

— სიმონაი დაქორულია, მისმა ძმამ ანდრიამ ცოლი მეიყვანა, მარა იმ უბედურს, მისდღემში რომ აფერი ეთხუა, იგი ერჩია, გომბიას გავს...

ამ დროს კალიასკაში ბავშვმა გაიღვიძა. ქრისტიანე საჩქაროთ მივიდა და ამოიყვანა მოცინარე, მხიარული ბავშვი.

— ნენავ, რა ბალანაია, დაბადებავ! შესძახა გაკვირვებით მზეხამ.

— აბა ნახე, ბატონო, მაროიეს უნცროსია და ორი იმხელაა! — უთხრა ქრისტიანემ მას და აჩვენა ბავშვი დედამთილს ამპარტავნებით.

— ისე გიხარია, ვითამ მაი იყოს შენი შვილი — უბასუხა მას მზეხამ. ქრისტიანეს, მართლაც ამ წუთში დაავიწყდა, რომელი იყო მისი შვილი. დედამთილის სიტყვებმა კი სინამდვილე გაუთვალისწინეს მას, ის შეკრთა და უკმაყოფილება დაეტყო სახეზე.

— მარა ჩვენი შვილი მაგისანაი რომაა, იგიც გასაკვირია — დაუმატა მზეხამ.

— რავა, რეიზა ოჯო? — გაიცინა ქრისტიანემ. მან კარგათ იცოდა, რომ თვითონ უფრო ლამაზი თუ იყო ქალბატონზე, თორემ უარესი არა. ამასთან ის უფრო ახალგაზრდაც იყო.

— იცი, ბატონო — განაგრძო მან — ქალბატონის გულიზა ერთმა აფიცრმა თავი მეიკლა, მისი სახლის წინ ჩამეირჩო თავი; ორი დღელი იყო კიდევ: ერთმანეთი დახოცეს მაგის გულიზა.

რას მიჩივი, ქალო, მერე რაფერ ინანიებს ახლა ამხელა ცოდვას: ამდენ კაცს რომ მუაკლია თავი?

— ვაიმე, მაგან რა უნდა შეინანიოს, რა მაგის ბრალია? იგინს უყვარდა თვარა, მაგას კი არა. მაი სიყვარულით გათხოვდა.

— ეჰ, რას ჩივი! — გაუკვირდა მზეხას. — დიდკაცობაში არ სცოდნიან ცოდვა-მადლი, თვარა დიდმარხვას რავა გასტეხს ქრისტიანი. ხორცს აცეტებს ეგერ ქალი სამხარეულში, ჩემი თვალით ვნახე.

— მაი, ბატონო, ჩვენებური სიბდღეა ყველაი: რაც ჩავა პირში იგი კი არაა ცოდვა, რაც ამუა ავი სიტყვა, იგია ცოდვა.

— რაიაო?! არა, დედავ და შვილო, წაპილწული რომ ჩავა პირში, იმ პირიდან არც წაპილწულ სიტყვას გაუძნელდება ამოსვლა. რას უძახი შენ ცოდვა-მადლს? ამდენ კაცს თავი მოაკლია და არ ინანებსო, მარხვას ქე ჭამს და აბა ან პირში ჩასვლა რაღაა და ან ამოსვლა?

— არა, შენ იგი მითხარი: ძალიანი უყვარს ცოლ-ქმარს ერთმანეთი?

ქრისტიანე განცვიფრებით შესცქეროდა დედამთილს. მისი სიტყვები ცოდვა-მადლის შესახებ ერთობ ეუცხოვა მას; როცა მან უკანასკნელი კითხვა გაიგონა, გაიღიმა, მოაგონდა უღვაშებ აწკეპილი აფიცერი და გამხიარულდა.

— მაინცა და მაინც სიყვარულიზა არ იწუხებენ თავს, თქვა მან და ის უცებ სხვა საგანზე გადავიდა—ნამეტარი კაი გულის ვაჟბატონია. ყოველ საღამოს რომ არ შამევიდეს ბაღანასან, არ იქნება და ისე არ გავა, ან კაი სიტყვა არ მითხრას, ან ფარა არ მაჩუქოს. ბაღანაი ნამეტარი უყვარს: დაჯდება ჩვენთან, ყორიფელს დაწვრილებით გამოპკითხავს... მას ერთბაშით შერცხვა, თითონაც არ იცოდა, რისთვის ატყუილებდა დედამთილს, მან კარგათ იცოდა, ვისი გულისთვის დადიოდა უფრო ვაჟბატონი მის ოთახში, მაგრამ ასეთი ბედნიერებით იყო მისი გული გავსებული, რომ ასეთ „დიდკაცს“, „ჩინებთან“ ვაჟბატონს მოსწონს უბრალო სოფლის ქალი, ძიძა, და უნდოდა ყველასთვის გაეზიარებინა თავის კმაყოფილება.

გაიგონა თუ არა ეს სიტყვები მზახამ, რომელიც მუდამ თავის ოჯახის სარგებლობაზე ფიქრობდა, მისი გამჭრიახი გონება იმ წამსვე გამორჩინის სურვილით აეცო და უთხრა:

— დედავ და ამისთანაი კაი გულით თუა შენზე, სთხუე მოგიმატოს ჯამაგირი და ოთხი ან ხუთი თვის კიდევ წინდაწინ მოგცეს. ოდის ძელები დათლილი ქვა ტყეში და რავაც თესვას გაათავებს კოწიფი ჩამუატანიებს, თუ ფარა ექნება. აა რას იზამ?

— რა ვიცი, ვნახავ... უთხრა ქრისტიანე უკმაყოფილოთ. მას ეწყინა დედამთილის „გაუმადრობა“, განა ცოტა ფული გააგზავნა მან შინ ამ ხუთ თვეში? ამ დროს კარებში მორთულმა თავზე წითელი ყვავილებიანი ქუდით ტასიამ შემოიხედა და იკითხა:

— ქალბატონი არ მოსულა?

— არა ჯერ.

— აჰ, ქრისტიანე, რა ამბავი იყო, რა ამბავი! რომ იცოდე, ვინ ვნახე?! თან ეშმაკურათ დაუქნია მხიარული თვალები.

— რაი, რაი, ვინ ნახე?—გაუბრწყინდა თვალები ქრისტიანესაც.

— მოვალ, ახლავე გიამბობ, მაცალე პაწაი, გვეიდრობ ტანზე, სიცილით გაიქცა ის.

— ახლა მაი სოფელში აღარ გათხოვდება.—თქვა მზახამ, როცა ტასია გავიდა.

— ფუ, სოფელში რავა გათხოვდება, ყაძახს სადილს წუთლებს ახლა მაი ყანაში?!—შესძახა სხვა ზარებით გატაცებული ქრისტიანე. მზახამ გაოცებით შეხედა რძალს და ცოტა სიჩუმის შემდეგ თავისთვის წარმოსთქვა.

— ღმერთო, დიდება შენ, რაფერ გამეიცვალა დროი! წავალ მაროიას მევიყვან, თუ გვიღვიძა, შეიძლება? მიუბრუნდა ის ქრისტიანს.

— მევიყვანე, მევიყვანე—მიუგო მას გულგრილოთ ქრისტიანე, გულში კი მას არ უნდოდა, რომ მოეყვანათ აქ ის

„კენარიანი ბაღანაი“, რცხვენოდა მისი და ბრახტებოდა, რომ ხელს უშლიდა მას. რათ უშლიდა ხელს ბავშვი, თითონაც არ იცოდა, მაგრამ ის დარწმუნებული იყო, რომ და სძულდა ბავშვიც, დედამთილიც და ყველაზე უფრო იქნებოდა „ნეტაი ვინ ნახა ტასიამ, ვეგბა სანდროიე!“ ფიქრობდა ის.

ბ. ნაკაშიძისა.

(შემდეგი იქნება).

უ უ რ ნ ა ლ - გ ა მ ე თ ე ბ ი დ ა ნ

გაზეთ „Тифлискій Листок“-ს მოყავს „პრაგო“-ში დაბეჭდილი მოსკოვის სამოსამართლო პალატის სხდომის შემდეგი ანგარიში: 2 მარტს 1902 წ. დ. ფართლეულობის ქარხანაში მოხდა არეულობა. არეულობის მომხდენლებმა ცემეს ქარხნის მეთვალყურეთ, დაღეწეს ფანჯრები ქარხნის სხვადასხვა სადგომებში, დააზარალებს და დაიტაცეს საქონელიო. არეულობა მოახდინა ქარხნის ეზოში შეკრებილმა მუშებმა, რომელნიც უთანხმოებას აცხადებდენ იმის შესახებ, რომ სამუშაოს განაწილება ხთებოდა სადილობის დროს, ვერ უთანხმდებოდენ იმ ურიგობას, რომელიც არსებობდა ფულის მიღების წიგნაკებში.

ქარხანაში თითველ საბეჭდავ მანქანას ყავდა მიჩნეული ერთი ქარგალი, ოთხი მუშა და ერთი შაგირდი. სადილის დროს მუშები იყოფოდენ ორ ნაწილათ; როდესაც მუშების ერთი ნაწილი ერთი საათის ვადით სადილის საქმელათ სახლში მიდიოდა, მეორე ნაწილი ქარხანაში რჩებოდა, რათა მანქანების მოქმედება არ შეწყვეტილიყო. აღეღვება და უკმაყოფილება მუშებს 3—8 მარტამდისაც ეტყობოდათ.

28 თებერვალს დღის 2 1/2 საათზე ბეჭდვისა და ლაბორატორიის მუშებმა ზემოხსენებულ სამუშაოს განაწილებაზე უარი განაცხადეს. ასე რომ 12—ნაშუადღევის 1 საათამდის ქარხნის იმ განყოფილებაში მუშაობა შეჩერდა.

1) 1 მარტს ქარხნის დირექტორმა ლ—მა გამოუძახა რამოდენიმე მუშებს და მოხელე ე—ნის და შჩ—ნის თანადასწრებით მიმართა მუშებს გაეგებინებიათ მიზეზი მათი უთანხმოებისა. მუშებმა შემდეგი წინადადება მისცეს ქარხნის დირექტორს: იმას, ვინც გარიგებულ დროზე კეტს იმუშავებს თითო საათი 1 1/2 ჩაეთვალოს შრომის ფასიც 1 1/4 ზედ მეტი მიეცეს.

2) სადილობის დროს შემკირებულ უნდა იქნეს რიცხვი მომქმედი მანქანებისა.

დირექტორმა ლ—მა უპასუხა, რომ უკანასკნელი მუშების მოთხოვნა შეიძლება დააკმაყოფილოს მხოლოდ საფაბრიკო ინსპექციამ, რადგანაც გამგეობისაგან ამ საქმისათვის შედგენილი წესდება, ინსპექციისაგან არის დამტკიცებულიო. ლ—მა მუშებს ურჩია განეგრძოთ მუშაობა, მაგრამ ეს უკანასკნელები არ დათანხმდენ.—სადილობის დროს მუშაობას ყველამ თავი დაანება და სახელოსნოებიდან სახლში წავიდენ. 2 მარტს დღის ათ საათზე ქარხანაში მოვიდა ადგილობრივი საფაბრიკო ინსპექტორი X, რომელიც მოელაპარაკა ქარხნის ადმინისტრაციას და მოისმინა რა მუშების წინადადება, უთხრა მუშებს, რომ უკანასკნელ მათ წინადადების შესახებ კანონიერი ზომები იქნება მიღებული, მხოლოდ ზედამხედველმა სთხოვა მუშებს მუშაობა განეგრძოთ.

ზოგიერთმა მუშებმა სამუშაოთ არ წავიდენ, უმრავლესობამ კი ხელახლა მიჰყო მუშაობას ხელი. სადილობამდის ქარხანაში მყუდროება სუფევდა. შუადღისას ბეჭდვისა და ლაბორატორიის განყოფილების მუშები შეიკრიბენ ეზოში,

ყვიროდენ „ურას“ და არავის უშვებდენ სამღებრო განყოფილებაში... ნაშუადღევის ორ საათზე ზემოხსენებულ განყოფილების მუშებს შეუერთდენ სხვა მუშებიც, ასე რომ მათი რიცხვი რამდენიმე ასათ გადაიქცა. ყოველივე ცდა პოლიციის მხრით დაეშალათ მუშების კრება და მით აღდგინათ მყუდროება, ამოა იყო. მოწმების ჩვენებიდან და ექიმის შემოწმებიდან აღმოჩნდა, რომ საქარხნო დარაჯებს მუშებმა ძალზე სცემეს მუშტით და ჯოხებით. საღამოს 7 საათზე, როდესაც დაბნელდა, მუშებმა დაღწეეს სამღებრო განყოფილების კარები, შეცვინდენ შიგნით და, რაც იქ საქონელი იყო, ზოგი თან გაიტაცეს. ჩითეულობა, აბრეშუმეულობა და სხვა ამგვარი საქონელი შეუბრალებლათ იფხრიწებოდა და ეზოში და ქუჩაში იყრებოდა.

არეულობამ ღამის 11 საათამდის გასტანა; მოწვეულმა ყაზახებმა არეულობას ბოლო მალე მოუღეს.

საქარხნო გამგეობის შეფასებით ზარალი 40—50 ათას მანათს უდრის.

სასამართლოში, სხვათა შორის გამოიჩინა, რომ ქარხანაში ორი კარცერი არის, ერთი მეორეში და ერთიც მესამე სართულში. ორივე კარცერი წარმოადგენს რაღაც პატარა ბნელს და ცივს კედელში ამოღრუტულ საპყრობილეს. სიგანით ეს საპყრობილე 1 არშ. და 12 ვერშოკია, სიგრძე ხუთი არშინი და 2 ვერშოკი, სიმაღლე ერთი საყენი და 10 ვერშოკი; საპყრობილის იატაკამდის 12 ვერშოკი კიბეა გაკეთებული, ასე რომ დამნაშავე უსწორ მასწორ კიბის საფეხურებზე ჩადის ჯურღმულში და მეტი სიეწროვის გამო მთელი დრო გაჩერებულია. კარებში, როგორც ურიადნიკის ჩვენებიდან გამოიჩინა, მხოლოდ ერთი კაცის მოთავსება შეიძლება მაგრამ მიუხედავად ამისა, იქ 10 კაცს ამწყვდევენ, ამწყვდევენ ჩხუბისთვის, აყალ მაყალის მოხდენისათვის; მაგრამ ხშირათ შემდეგი შემთხვევისთვისაც ამწყვდევენ. 9 1/2 სათზე, როდესაც მუშაობა წყდება და ლამპებს აქრობდენ, ზოგიერთი მუშა აანთებდა თავის საკუთარ სანთელს და კითხულობდა წიგნს: ამნაირი საქციელი ქარხანაში აკრძალული იყო. — გამოიჩინა აგრეთვე, რომ მუშებს აკრძალული ქონდათ საწოლ ოთახში ხატები ქონებოდათ.

სასამართლო პალატამ მიიღო რა მხედველობაში ყოველივე ზემოხსენებული, აღძრა შუამდგომლობა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რათა კუთვნილი სასჯელი შემსუბუქებული იქნას სამი თვით ციხეში დაპატიმრებით“.

* *

„პრავიტ. ვესტნ.“-ში დაბეჭდილია საერო განათლების მინისტრის ცირკულიარი სამოსწავლო ოლქების მზრუნველების მიმართ. შინაარსი ცირკულიარისა შემდეგია: განათლების სამინისტროში ამ ბოლო დროს ბევრი ცნობები მოდის, რომ უფროს კლასების მოწაფეები მეტის მეტათ შეუპოვრათ იქცევიან და მანვე მიმართულების აზრებს ადგებიან. ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ მოწაფეები შეთანხმებით მოქმედებენ, მასწავლებლებს უზრდელათ ექცევიან და ზოგჯერ მაქმედებით შეურაცხყოფასაც კი მიყენებენ ხოლმე. ზოგი ცნობა ამ ტიპის, რომ თურმე მოწაფეებში ძალიან გავრცელებულია მთავრობის წინაღმდეგი პროპაგანდა, რომელიც ბევრს მსხვერპლს იტაცებს. ეს მოძრაობა ხომ იმდენათვე უგუნურია, რამდენათაც მზაკვრული... ცნობები ამტიკებენ აგრეთვე სამოსწავლო ადმინისტრაციის უძღურებას ამ პროპაგანდასთან ბრძოლაში და გვიჩვენებენ, რომ სასწავლებლის უფროსები მოწაფეების უწესო ქცევას ქუჩებში ყურადღებას არ აქცევენ. მაგ., მოწაფეები ქუჩებში თამბაქოს ეწევიან, თავს არ უკრავენ მზუნველებს, ადგილობრივ გუბერნატორს და გენერალ-გუბერნატორსაც კი ასრუ-

ლებს რა მონარქის ბრძანებას, რომ მოწაფეები სკოლებში პატარაობიდანვე დისციპლინას და წესიერებას ეჩვეოდნენ, განათლების მინისტრი განკარგულებას აძლევს, რომ სასწავლებლების უფროსებმა რებრესიული ზომები მიიღონ ხოლმე, რამდენათაც ეს საჭირო აღმოჩნდება. მართალია, მხოლოდ მკაცრი ზომებით არ შეიძლება დისციპლინის აღდგენა, მაგრამ აქედან ის კი არა სჩანს, რომ მოწაფეები უნდა გაათამაშოთ. სამწუხარო ის არის, რომ სამოსწავლო ადმინისტრაციის პირნი ასეთს სუსტს ზომებს ამართლებენ ხელმწიფე-იმპერატორის 1901 წლის 25 მარტის რესკრიპტის სიტყვებით, რომელშიაც ნაბრძანებია, საჭიროა „გულითადი ზრუნვა“ მოწაფეთათვისაო. „გულითადი ზრუნვა“ სწორეთ მაშინ განხორციელდება, როდესაც მოწაფეებს შეაჩვევთ ყველა წესების დაცვას და კანონების აღსრულებას. თუ მოსწავლე წესიერებას და კანონიერების დარღვევას ცდილობს, მაშინ ჯერ კეთილი რჩევა უნდა მისცეთ და თუ რჩევამ არ გასჭრა, ამ მოწაფეს კურსი არ უნდა გაათავებინოთ, რადგანაც ჯერ ზნეობრივთ მომწიფებელი არ ყოფილა. შემდეგ მინისტრი რთს მოსაზრებაზე უთითებს სასწავლებლების ადმინისტრაციას: რამდენათაც უფრო კარგ გონების საზრდოს მიიღებენ მოწაფეები თავის მასწავლებლებისაგან, იმდენათ უფრო უძღური გახდება გარეშე პროპაგანდა. მეტადრე რუსული ენის და ისტორიის მასწავლებლებმა უნდა ეცადონ ნამდვილი ცოდნა მისცენ თავის მოწაფეებს, რომ მოწაფეებმა იმათ სწავლებიდან საღი დასკვნა გამოიყვანონ ხოლმე. მასწავლებლები დაკვირვებით უნდა ასწორებდენ მოწაფეების თხზულებებს და უნიშნავდენ წასაკითხ წიგნებს. როცა მოწაფე უკანონობას რასმეს ჩაიდენს, მასწავლებელი უნდა სცდილობდეს დაანახვოს მას ეს უკანონობა. ხშირათ ცუდი საქციელი იქიდან წარმოსდგება, რომ მოწაფემ არ იცის, რომ ეს საქციელი ცუდია. თუ მასწავლებელს უნდა იბრძოლოს იმ ცრუაზრის წინააღმდეგ, რომ უმცირესობა უმრავლესობის გარდასწყვეტილებას უნდა დაემორჩილოს, უნდა თითონ ჩაერიოს ამა თუ იმ კითხვის გადაჭრაში. გარდა ამისა, მასწავლებელს ერთობა უნდა ჰქონდეს მოწაფის დედ-მამასთან და იმათ შემწეობით უნდა იქონიოს გავლენა მოწაფეზე. როდესაც მასწავლებელი მოწაფის ბინის გასაშინჯათ მიდის, ის კი არ უნდა აჩვენოს, რომ ოთახის გასაჩხრკათ მიდის, ის უნდა აჩვენოს, რომ უფროსი უმცროსისთვის ზრუნავს. შემდეგ მინისტრი აღნიშნავს საჭიროებას მოწაფის სარწმუნოებრივ-ზნეობრივ აღზრდისას.

მინისტრს იმედი აქვს, რომ ეს მისი ცირკულიარი მართა ქალაქზე არ დარჩება და სამოსწავლო ადმინისტრაციები ყურადღებით მოეპყრობიან მას, რომ განახორციელონ ხელმწიფე იმპერატორის მიზანი ახალგაზრდობის გონიერ აღზრდის შესახებ, და სთხოვს მზრუნველებს, ეს ცირკულიარი კრებებზე განიხილონ და განხილვის შედეგი სამინისტროს აცნობონ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ პატივცემულ თქვენს გაზეთში ამ ჩემ წერილს, რომელსაც იმეღია მიაქცევს ყურადღებას ქართველი სამღვდლოება.

როგორი თვლით უნდა უყურებდეთ იმ მოძღვარს, რომელმაც თავის მრევლზე 1456 მანათის საჩივარი მიართვა ადგილობრივ მომრიგებელ-მოსამართლეს? და დღეს სუდის კარებზე ატუხებული ხმა-მალა გაიძახის: „ღიახ, მეკუთნის და უნდა მივიღოვო!“ მიუხედავად იმისა, რომ თვითონაც კარგათ დარწმუნებულია ამ 1456 მანათზე საჩივარის უსაფუძვლობაში?..

აი, ჩემო მკითხველო, ამ საჩივრის საბუთიც: სოფელ დიცის საზოგადოების გლეხებს უთხოვნიათ (რადგანაც სოფ. ტრძინის ეკლესია ამ სოფელზე დიდად დაშორებულია), რომ მათ სოფელში გახსნილიყო ეკლესია. შტატის შენახვა თვითონ სოფელს უკისრნია: მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ამ ეკლესიის მღვდელ კვანჭახაძეს უწმინდესი სინოდის განკარგულებით დაენიშნა 400 მანათი წლიური ჯამაგირი—და ეს ეკლესიაც შტატის ეკლესიით იქნა ცნობილი. ამ განკარგულებით მრევლი განთავისუფლებულია მღვდელის საჯამაგირო (გარდა დრამისა) ფულების გადახდისაგან მაგრამ დღეს მღ. კვანჭახაძე უწმინდესი სინოდის წინანდელი განკარგულების ძალით შვიდი წლის მიუღებელ ჯამაგირს უჩივის მრევლს, რომელსაც, როგორც არა ვალდებულს, არც ერთი წლის დღემდის არ გადაუხდია. ცხადია, მღვდელს არა ერგება-რა. ამაში ისიც დარწმუნებულია, მარა მაინც შეუდგა ამ საქმის განხორციელებას აბლაკატური წესით ამ საჩივარზე, თუ მრევლი მისი ყურ-მოჭრილი მონა არ შეიქნა, წინდაწინვე ვიცით, რომ „ჯვარი დასმულია“.

კონ. ნოდია.

დრ. რედაქტორი გამომცემელი
 ნ. ა. ალექსიანე-მესხიანი ან. მ. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა ნ ი

მიიღება ხალის მოწერა

საბოლოოციკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატებიან გაზეთ

„კ ვ ა ლ ი“ - ზ ე

(წელიწადი მეთორმეტე)

გაზეთი გამოვა ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე.

გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამ შაურათ. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორ აბახათ.


ხელის მომწერლებს შეუძლიანთ გაზეთის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების განცეფარაში (სასახლის ქუჩა, თავდაზნაურების ქარვასლა); რკინის გზის სადგურზე ზირველ კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით «კვალის» რედაქციაში.

ქუთაისში: შიტროფანე ჯადიქსთან, ვ. ბუჯანაშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთ. კამომცემელ ამხანაგობის კიოსკში; ბათუმში სპირიდონ ჭვდიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; ჭიათურაში—კადისტრატე ჭიჭინაძესთან და გერასიმე ბერძენსთან; ვერიდაში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველში; ძველ-სენაკში—არსენ წითლიძესთან; ოზურგეთში—დამენტი შავიშვილთან; საბუნჩაში—დიმიტრი მუჯაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

ს ი ა



სტეფანე კონსტანტინეს გამომცემელი ლ. აშვილის საფასით გამოცემული წიგნებისა:

- 1) წერილი სოფელ მუშას, ფ. 5 კაპ.
- 2) დიფტერიტი, ფ. 5 კაპ.
- 3) მეცნიერების დედა-აზრი, ფ. 5 კაპ.
- 4) ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება, ფ. 5 კაპ.
- 5) რა არის გონებითი გახსნა-განვითარება, ფ. 5 კ.
- 6) პურის ბოსტანი, ანუ პურის მოყვანა ჩინურ-იპონურის წესით, ფ. 7 კაპ. პურის ბოსტანი შემოდებულ უნდა იქმნას ყოველი ქართველის ოჯახის კარზედ, მისი მოვლა ვალდებულად უნდა შესწავლოს ჩვენი ოჯახების ყოველმა წევრმა—ქალმა და ვაჟმა, დიდმა და პატარამ და ამიტომ სასურველია, რომ ეს წიგნი მრავლად გავრცელდეს ჩვენს ხალხში.
- 7) ბავშვების გონიერი მოვლა, ანუ რისგან სწულდებიან და იხსოვებიან უდროვოდ ჩვენი ბავშვები, ფასი 5 კაპ.
- 8) დანაშაულობა და დამნაშავენი, ფ. 5 კაპ.
- 9) მეურნეობა და ახალი სკოლა, ფ. 5 კაპ.
- 10) შინაური ფრინველების მოვლა-მოშენება, სურათებით, ფ. 15 კაპ. ეს საქმე საუკეთესო საშუალებაა ქალთათვის დამოუკიდებელი თანხის შესაღწევად.
- 11) როგორ არჩენენ აქიმები ადამიანებს დანით? ბუასილის ყავა და ციფ-ცხელებისა—რძე-არაყი, ფასი 5 კაპ.
- 12) „მურია“, საყმაწვილო წიგნი სურათებით, ფასი 5 კაპ.
- 13) თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა ქართულის ენის შემწეობით სურათებით, ფ. 20 კ.
- 14) სულით ავათყოფი მოსწავლენი, ფ. 5 კაპ.
- 15) ხეხილის გამრავლება და მოვლა, სურათებით, ფ. 5 კ.
- 16) მეფე ლამზა, სურათებით, ფასი 7 კაპ.
- 17) საუნჯე ავათყოფისა, ანუ აღწერა და წამლობა ყოველგვარ ავათყოფობათა. საქარო წიგნია ყოველი ოჯახისათვის და წერა-კითხვის მკოდნესათვის, ფასი 15 კაპ.
- 18) საუნჯე მეურნისა ანუ აღწერა, მოვლა და გამოყენება ყოველგვარ ხეხილისა და უბრალო ბუჩქებისა და ხეებისა, 15 კაპ.
- 19) მთვრალობა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კაპ.
- 20) ცხვრის ყვავილი, ფ. 5 კაპ.

ვევლან აქ მოხსენებული წიგნები იხილება ქუთ. „მოგზაურის“ რედაქციაში (მეყვანა ქუჩა, № 72).

გინც ერთის მხეთისა ან მეტისსა გაიწერს, გაგზავნის ხარჯს ჩვენ კვისრულბთ. მანკათე ნაკლები ხვედრი ფული შეიძლება მარკებით გამოგზავნას წიგნების გამწერმა. და ფოსტის ხარჯათაც სამ-სამი კაპეიკი წაუმატოს თვითუფლ წიგნზედ.